პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ — 1978

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 14 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1978 წ. № 266 (17310) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

□ 48 დღე დარჩა ხუთწლედის მესამე წლის დამთავრებამდე. ეს დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ დავალებათა შესასრულებლად!

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠᲙ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ „ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲪᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ დედა და ბავშვის დაცვაზე, ბავშვთა განათლებასა და აღზრდაზე სახელმწიფოს განუწყვეტელი ზრუნვა მოზარდი თაობის ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობ პირობებს ქმნის. ამ ამოცანების გადაწყვეტაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება სბავშვო ასორტიმენტის მრავალფეროვან საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილების საკითხებს.

მეცხრე და მეათე ხუთწლედის წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბევრი სახეობის სბავშვო საქონლის გამოშვება, შესამჩნევად გაუმჯობესდა მისი ასორტიმენტი და ხარისხი, ორგანიზებულია ბევრი ისეთი ნაწარმის გამოშვება, რომლებიც წინათ არ მზადდებოდა. სახელმწიფო* დაბალ ღონეზე ტოვებს სბავშვო ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ავეჯის, ველოსიპედებისა და სხვა საქონლის ფასებს, რასაც დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს. ყოველწლიურად სულ უფრო სრულად უზრუნველყოფენ სბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებებს ლამაზ სბავშვო ტანსაცმელზე, მრავალფეროვან სასწავლო, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედებისა და სპორტულ საგნებზე.

ამასთანავე სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა სბჭოს მიაჩნიათ, რომ სბავშვო ასორტიმენტის ბევრი ნაწარმის გამოშვების მიღწეული დონე არ შეესაბამება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ვაჭრობაში ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ცალკეულ სახეობათა საზამთრო და საზაფხულო ტანსაცმელი, თბილი ფეხსაცმელი, გაუმჯობესებულ კონსტრუქციათა სბავშვო ეტლები, მოზარდთა ველოსიპედები, ავეჯი, სასკოლო და სპორტული ნივთები და ზოგიერთი სხვა სბავშვო საქონელი. ცალკეული სამინისტროები სისტემატურად ვერ ასრულებენ სბავშვო საქონლის წარმოების დადგენილ დავალებებს, ამცირებენ, ზოგჯერ კი კიდეკაც წყვეტენ ისეთი საგნების გამოშვებას, რომლებზეც მოთხოვნაა.

სრულად არ იყენებენ მძიმე ინდუსტრიის, ადგილობრივი მრეწველობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა შესაძლებლობებს საჭირო საქონლის წარმოების გასაფართოებლად.

არცთუ ცოტაა პრეტენზიები ბევრი სბავშვო ნაწარმის ხარისხის გამ, მისი გარეგნული სახე და შეფუთვა ყოველთვის არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს.

საგეგმო ორგანოები და სავაჭრო ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ იხდენენ საჭირო გავლენას გადაღებული მოთხოვნის სბავშვო ასორტიმენტის საქონლის წარმოების მოცულობის ზრდაზე. არსებითი ნაკლოვანებანია ამ ნაწარმის გამოშვების ეკონომიკურ სტიმულირებაში, საჭირო ნედლეულითა და მასალებით საწარმოთა მომარაგებაში. ნელი ტემპით მიმდინარეობს წარმოების სპეციალიზაცია სბავშვო საქონლის გამოშვებაზე.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო, „ცენტროსოიუზი“ და მათი ადგილობრივი ორგანოები ჯეროვნად არ ზრუნავენ სბავშვო საქონლის ვაჭრობის გაუმჯობესებაზე, სპეციალიზებული სავაჭრო ქსელის განვითარებაზე, მრეწველობასთან საქმიანი თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებაზე, ამ ნაწარმზე მოთხოვნის პროგნოზირების სრულყოფაზე.

ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა შეამცირეს სამრეწველო საწარმოთა და სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისადმი მომთხოვნელობა სბავშვო ასორტიმენტის საქონლის წარმოების დადგენილ დავალებებს, ამცირებენ, ზოგჯერ კი კიდეკაც წყვეტენ ისეთი საგნების გამოშვებას, რომლებზეც მოთხოვნაა.

სრულად არ იყენებენ მძიმე ინდუსტრიის, ადგილობრივი მრეწველობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა შესაძლებლობებს საჭირო საქონლის წარმოების გასაფართოებლად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სბავშვო საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის გაუმჯობესებას, დაავალეს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს განიხილონ სბავშვო საქონლის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, განახორციელონ დადგენილი გეგმებისა და დავალებების უთუო შესრულების უზრუნველყოფის, დეფიციტური ნაწარმის გამოშვების შემდგომი გაფართოების პრაქტიკული ღონისძიებანი, ამასთან უფრო სრულად გამოიყენონ ამ მიზნით მსუბუქი, ადგილობრივი, ხე-ტყისა და ხისადამუშავებელი, ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოთა სანედლეულო და საწარმოო რესურსები. შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა 1979-1985 წლებში გადიდდეს სბავშვო ასორტიმენტის საქონლის გამოშვება წარმოების სპეციალიზაციისა და ტექნიკური განახლების, მოქმედი საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებისა და ახალ სიმძლავრეთა შექმნის გზით და ამ საფუძველზე უფრო სრულად დაკმაყოფილდეს სბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი სბავშვო ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებსა და ბავშვებისათვის განკუთვნილ სხვა ნაწარმზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა, 1979 წლიდან მოყოლებული, გაითვალისწინოს გეგმებში და ამ მიზნით გამოუყოს სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს საჭირო კაპიტალური დაბანდებანი, აგრეთვე დაუწესოს მათ ისეთი სბავშვო საქონლის გამოშვების დავალებანი, რომელზეც მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნაა.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ სბავშვო ნაწარმის ასორტიმენტისა და ხარისხის ძირეული გაუმჯობესება, მისი მაღალი ტექნიკური და ესთეტიკური დონის მიღწევა სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. მათ ეკალთან ამ საკითხების გადაწყვეტისათვის გაადიდონ სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიებისა და აპარატის სპეციალისტების. საწარმოთა ხელმძღვანელებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების პასუხისმგებლობა. აამაღლონ სბავშვო ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი ნაწარმის შექმნისათვის სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაობის დონე, ამისათვის უზრუნველყონ საჭირო კადრების მომზადება, განამტკიცონ ამ ორგანიზაციათა საწარმოო ბაზა. რეგულარულად მოაწყონ სბავშვო საქონლის დათვალიერება-კონკურსები და შემდეგ მათ შორის საუკეთესო დანერგონ მასობრივი წარმოებისათვის.

მსუბუქი, საავტომობილო, საავიაციო, ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროებს ევალებათ განახორციელონ სბავშვო ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის, ველოსიპედების, ეტლების, ავეჯის ასორტიმენტის შემდგომი განახლების, ხარისხისა და გარეგნული სახის გაუმჯობესების ღონისძიებანი. სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მოვალენი არიან უზრუნველყონ სხვადასხვაგვარი სათამაშოების, ტექნიკური შემოქმედების საგნების. სპორტული დანიშნულებისა და კოლექტიური სარგებლობის სათამაშოების გამოშვების მნიშვნელოვანი გაფართოება, ამასთან მხედველობაში მიიღონ მათი როლის ამაღლება ბავშვის ყოველმხრივ განვითარებაში, შრომის შერჩევაში, გაადიდონ ვაჭრობაში დეფიციტური ცალკეულ სახეობათა ხელოვნურ-ხაზური ნივთების. სპორტული საქონლის, პირადი მიგიენის და ბავშვის მოვლისათვის საჭირო საგნების წარმოება.

სსრ კავშირის განათლების სამინისტრო, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რეკომენდაცია ეძლევათ შეიმუშაონ შესაბამისი პედაგოგიური და სამედიცინო მოთხოვნები სბავშვო ასორტიმენტის საქონლის კონსტრუქციებისა და მოდელების მიმართ.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განახორციელოს სბავშვო საქონლის წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების შემდგომი გაუმჯობესების, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) და სავაჭრო ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებანი.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, „ცენტროსოიუზს“ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ განახორციელონ სბავშვო ასორტიმენტის საქონლის ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებანი, ამასთან განსაკუთრებული უურადღება დაუთმონ „ბავშვთა სამყაროს“ ტიპის უნივერმაღაზიათა და ამ საქონლის კასაყიდი სპეციალიზებული მაღაზიების ქსელის შემდგომ განვითარებას, მყიდველებისათვის მაქსიმალური კომფორტის შექმნას, მოაწყონ დიდ სავაჭრო საწარმოებში დედისა და ბავშვის ოთახები, ქსოელის გამოკრის მაგიდები, აგრეთვე შეკეცილი ნაწარმის მორგება და მცირეოდენი გადაკეთება, ნავაჭრის შესანახად მიღება, დიდგაბარიტიანი საგნების შინ მიტანა და სხვა სახეობათა მომსახურება. გააუმჯობესონ სბავშვო საქონლეზე მყიდველობითი მოთხოვნის პროგნოზირება.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტებს ევალებათ აამაღლონ სბავშვო საქონლის წარმოების გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, აგრეთვე ამ ნაწარმის გამოშვების გადიდების, ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების. ვაჭრობის სრულყოფის რეზერვების ძიებისათვის მრეწველობისა და ვაჭრობის საწარმოთა კოლექტივების დასარაზმად ორგანიზატორული მუშაობის ღონე. უფრო აქტიურად უნდა გაავრცელონ მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის. მყიდველთა სანმაუშო მომსახურებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილება.

ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠ ᲬᲔᲚᲡ — ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲜᲘᲨᲘ!

ᲐᲨᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ციტრუსოვანთა ბაღებში მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის მოსავალი დამწიფდა. მეციტრუსეებმა ვალდებულება აიღეს ხუთწლედის მეხუთე, დამკვრელურ წელს სახელმწიფოს 37 ათას ტონაზე მეტი ნაყოფი მიჰყიდონ.

აეტონომიური რესპუბლიკის ყველა სუბტროპიკულ მეურნეობაში მანდარინის მასობრივი კრეფა მიმდინარეობს.

გალის რაიონის მზიურის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები პირობას დებენ სახელმწიფოს მიჰყიდონ 2.200 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი — სამახი ტონით მეტი ვიდრე გასულ წელს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მეციტრუსე ნონა უბილავა მანდარინის კრეფისას. ი. ᲛᲘᲥᲔᲠᲘᲫᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით ნავსადგურებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ბათუმის ნავსადგურის კოლექტივი. იგი დაჯილდოდა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროსა და საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და პირველი ფულადი პრემიით.

მესამე კვარტალში ტვირთის გადამუშავების გეგმა შესრულდა 108,3 პროცენტით, გემების დამუშავების ინტენსიურობისა — 104,4 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა — 116,3 პროცენტით.

ჯილდოს პასუხად ნავსადგურში კიდევ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება, განსაკუთრებით აქტიურობენ ნ. ეასილიევის, მ. ანთაძის, ვ. ბოლქვაძის ლოკერ-მექანიზატორთა ბრიგადები.

ᲣᲠᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲝᲓ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). ქალაქის მრეწველობის მშრომელები ღირსეული შრომითი სიმუქრით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის 61-ე წლისთავი — ორი დღით ადრე გაანაღდეს თვის გეგმა. რუსთავის ყველა საწარმოს კოლექტივმა შეასრულა ოქტომბრის, მოლიანი პროდუქციის გამოშვების დავალება. წარმატებით არის განაღდებული ხუთწლედის მესამე წლის ათი თვის პროგრამაც. დავალების გადამეტებით გამოშვებულია 15 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ნაწარმი.

წლის განვლილ პერიოდში მეტალურგებმა გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცეს ასობით და ათასობით ტონა ფოლადი, თუჯი, მზა ნაგლინი და ფოლადის მილები, ხოლო ამწემშენებლებმა — შვიდ კოშკურა ამწე.

მესამე კვარტალის შედეგებით თავიანთ დარგებში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ № 1 სამშენებლო ტრესტისა და ქიმიური ქარხნის კოლექტივები.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ



ᲙᲝᲡᲛᲝᲓᲠᲝᲛᲘ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲡ ᲐᲮᲘᲚᲔᲑᲡ

ᲑᲐᲙᲘᲝᲜᲣᲠᲘᲡ კოსმოდრომი, 13 ნოემბერი. (საკიდსის კორ. ნ. ᲫᲘᲪᲘᲚᲘᲫᲘᲡ). მხოლოდ ათიოდე დღი დასჭირდათ 140 დღის კოსმოსური ექსპედიციის გმირებს იმისათვის, რომ დედამიწის მიზიდულობა მათთვის კვლავ ჩვეულებრივი მდგომარეობა გამხდარიყო. ექიმების აზრით, უკვე გავლილია ეკიპაჟის რეადაპტაციის პერიული და ყველაზე მწვავე პერიოდი. კოსმონავტთა ჯანმრთელობის მდგომარეობაში არაერთარი მოულოდნელი ცვლილება არ აღმოუჩენიათ.

დღეს ვ. კოვალიონოკი და ა. ივანჩენკოვი შეხვდნენ სპეციალისტებს, რომლებიც სტარტისათვის ამზადებდნენ, ესაუბრნენ ორბიტაზე თავიანთი მუშაობის შესახებ. კოსმოდრომთან გამოთხოვებისას ა. ივანჩენკოვმა, რომელმაც კოსმოსში პირველად ფეინა, კოსმონავტთა ხეიანაში ხე დარგო.

14 ნოემბერს კოსმონავტიკის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ექსპედიციის მონაწილეებს ვარსკვლავიერთა ქალაქში ელიანინი უკვე ხუთ თვეზე მეტია შინ არ ყოფილან.

Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝᲡ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ

13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში სერ კერტის კაბელი.

საუბრის დროს შეეხენენ სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებს, აგრეთვე ზოგიერთ აქტიურ საერთაშორისო პრობლემას.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲗᲘᲡᲐᲕᲠ ᲔᲕᲠᲝᲚ ᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠ-ᲚᲔᲜᲘᲜᲔᲚᲘᲡ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვის ძეგლი. მონუმენტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადწყვეტილებით აიგო. ძეგლი დადგმულია მოედანზე, რომელიც ი. მ. სვერდლოვის სახელს ატარებს.

მონუმენტი აიგო მოქანდაკე რ. ე. ამბარცუმიანისა და არქიტექტორ ბ. ი. თხორის პროექტით.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ი. სვერდლოვის ძეგლი მოსკოვში.

შრომითი ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ გამარჯვება

ᲘᲚᲘᲩᲝᲕᲡᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲜᲘᲡ ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲘᲜᲒᲖᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲚ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ, ᲛᲔᲖᲚᲒᲐᲣᲠᲔᲑᲡ, ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲡ, ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ, ᲠᲙᲘᲜᲒᲖᲔᲚᲔᲑᲡ, ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ!

გულითადად გილოცავთ შესანიშნავ გამარჯვებას — ილიჩოვსკისა და ვარნის ნავსადგურებს შორის სახლთა სარკინიგზო საბორნო გადასასვლელის საბჭოთა და ბულგარელ მშენებლებს, მეზღვაურებს, ნავსადგურის მუშაკებს, რკინიგზელებს, მშენებლობისა და ორგანიზაციის ყველა მონაწილეს.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ!

საბჭოთა და ბულგარელი მშენებლების შთაგონებული შრომით შეიქმნა მძლავრი სატრანსპორტო არტერია, მეგობრობის ახალი ხიდი, რომელმაც ჩვენი მოძმე სახელმწიფოების ნაპირები შეიერთა. ეს უნიკალური საზღვაო გზა სოციალიზმის შემოქმედებითს შესაძლებლობათა ცოცხალი დადასტურებაა. მშენებლობის მონაწილეებმა, რომლებიც მხარდამხარ მუშაობდნენ, შთამბეჭდავად გვიჩვენეს, თუ რა უდიდეს წარმატებათა მიღწევა შეიძლება ძალების გაერთიანებით, თუ რაოდენ ნაყოფიერია თავისუფალ ხალხთა ერთობლივი შრომა.

სარკინიგზო საბორნო გადასასვლელი, რომელიც მოძმე ქვეყნების მუშათა და სპეციალისტთა მარჯვენამ შექმნა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხულ უფრო დიდი ყოველმხრივი თანამოქმედებისა და დაახლოების ბრწყინვალე სიმბოლოა.

უეჭველია, რომ სოციალისტური გეონომიკური ინტეგრაციის გზით მომავალი საბჭოთა კავშირი და ბულგარეთი, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ყველა ქვეყანა. კვლავაც გაამრავლებენ ჩვენს საერთო მონაპოვარს და მომავალში შექმნიან ახალ გრანდიოზულ ობიექტებს, რომლებიც ჩვენი თანამეგობრობის ქვეყნების სახალხო მეურნეობის განვითარების ეფექტიანი საშუალება გახდება.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდ შრომითს წარმატებებს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში.

Ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲓᲠᲝ ᲐᲠ ᲘᲪᲓᲘᲡ

ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲨᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲛᲘᲗ ᲛᲙᲐᲤᲘᲝᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲡ!

ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲛᲐ უამინდობამ შაქრის ჭარხლის განვითარებაც შეფერხა, რის გამოც მოსავლის აღება შარშანდელთან შედარებით გვიან დაიწყო. მეუხედავად ამისა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული გრაფიკი ჭარხლის მოსავლის აღების უფრო მოკლე ვადაში დამთავრებას ითვალისწინებს. ეს აჩქარება მხოლოდ აცივებისა და გვიანი შემოდგომის უამინდობით როდია გამოწვეული. მეჭარხლეებმა წლეულს შარშანდელთან შედარებით 10-15 ათასი ტონით მეტი ჭარხალი უნდა დამბადონ.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი მონაცემებიდან მოწმობს, რომ მოსავლის დაბინავების ჭარხლის მოესავლე ყველა რაიონში ყოველდღიურად გრაფიკის მიხედვით 13 ნოემბრისათვის რესპუბლიკაში უნდა დამზადებულიყო 135.000 ტონა ჭარხალი, დამზადდა მხოლოდ 39.488 ტონა. მოსავლის აღების ტემპი განსაკუთრებით ნელია ქასპის, გორის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებში. ქასპში ნაცვლად 15.600 ტონისა მხოლოდ 7.095 ტონა მიეყიდა სახელმწიფოს. სამხრეთ ოსეთში კი გრაფიკის შესრულებამ 11.207 ტონა დააკლეს, გორის რაიონს 13 ნოემბრისათვის უნდა დაემზადებინა 39.200 ტონა, დაამზადა 6.047 ტონა.

ჭარხლის ამოღების, გადაზიდვის და დამზადების მაჩვენებლები ერთმანეთს უნდა ემოწმეოდეს. სინამდვილეში კი ბევრ მეურნეობაში ჭარხალი ამოღებულია, მაგრამ ტრანსპორტის ნაკლებობის გამო მისი გადაზიდვა ჭიანურდება. ეს კი დანაკარგებს იწვევს და მოსავლიანობის ისედაც არასახარბიელო მაჩვენებელს კიდევ უფრო აქვეითებს.

რესპუბლიკაში ჯერჯერობით ჰექტარობრივი მოსავლიანობა მხოლოდ 299 ცენტნერია ნაცვლად საგეგმო 371 ცენტნერისა. ამ მხრივ დაბალი შედეგი აქვთ ქარელში, სადაც ჰექტარზე საშუალოდ 282 ცენტნერია მიღებული. აქ ეს მაჩვენებელი შარშან 330 ცენტნერს აღწევდა. შარშანდელთან შედარებით 63 ცენტნერით ნაკლებ ჭარხალს იღებენ საგურამოში.

შაქრის ჭარხლის აღების სეზონი მიიწურა. მოახლოებული ზამთრის სუსხი და უამინდობა გვაწუხებს. ვითარება მოითხოვს მკვეთრად გაძლიერდეს მოსავლის დაბინავების საშუშაოთა ტემპი. მართალია, მეჭარხლეებს საქმეს უფროსულს ის, რომ ტრანსპორტი და მუშაკადი ახლა ბოსტნეულის, ხილის, მარცვლეულის და სხვა პროდუქტების დაბინავებაზეა დასაქმებული, მაგრამ თუ გაბნევრძელდა სამუშაო დღე, მეწყობა მოსავლის ასაღებად აგრეგატების და ტრანსპორტის საღამოობამდე მუშაობა, რესპუბლიკის მეჭარხლეები და შაქრის კომბინატის მუშაკები, რომლებმაც ბიმპოლეკთა მაგალითისამებრ კომპლექსური შეჯიბრება გაშალეს, უთუოდ გაანაღდებენ. ვალდებულებას — სახელმწიფოს მიჰყიდიან 135 ათას ტონა ჭარხალს და თითოეულ ჰექტარზე 30 ცენტნერ შაქრის მიღებენ.

Ვ. ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲔ.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 13 ნოემბერს მოსკოვიდან ბულგარეთში მეგობრულ ვიზიტად გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო.

აეროპორტში ა. პ. კირილენკო გაცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ი. პელშემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ე. რუსაკოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

იმავე დღეს ა. პ. კირილენკო ვარნაში ჩავიდა. აეროპორტზე მას დახვდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ტ. სტოიჩევი, სხვა ოფიციალური პირნი.

ᲕᲐᲠᲜᲐ, 13 ნოემბერი. (საკიდსი). დღეს აქ ერთმანეთს შეხვედნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო.

გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი, რომლის დროსაც გააშუქეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების საკითხები. (საკიდსი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲮ. Ა. Ო. ᲛᲝᲜᲬᲘᲡᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲩᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ოგანეზის ძე მოსესიანი საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
Ჯ. ᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

საქ

მეტის გაკეთების ღაუურვილით

საუთაც გაიხედოთ, მიუხედავ, ხეობები და ლოდებზე გადმოქუხარე მდინარეებია. აქ ზამთარი ადრე იწყება და გვიან მთავრდება. ზოგჯერ თოვლში უხდებათ ჭირნახულის აღება. არც ზაფხული ანებებრებს გლუხკაცს, მაგრამ მთელი ქედს არ ახრის ბუნების ჭირვეულობის წინაშე, იგი აწრთობა ბუნებასთან ჭიდილში. ამაზე მეტყველებს აქაურთა უტეხი ხასიათი, შეფენილ ფერდობებზე გაშენებული ჩაისა და თამბაქოს პლანტაციები, უფსკრულის პირზე გაყვანილი გზები, აქაფებულ მდინარეებზე გადაკიდებული ხიდები...

ეი სულ პატარა ერასრული სურათი აჭარის ერთ-ერთი მაღალმთიანი ქედის რაიონისა.

დიახ, განსაკუთრებით დასაფასებელია იმ ადამიანთა გარჯა, რომლებიც მთის მკაცრ ბუნებასთან შეუპოვარ ბრძოლაში იმარჯვებენ. ქება დაიმსახურეს ქედელმა კომუნისტებმა. ამიტომაც იყო, რომ თავიანთი რაიონული პარტიული ორგანიზაციის XXV კონფერენციაზე დელეგატებს ბევრი რამ აღმოაჩნდათ საამაყო და სათქმელი. დელეგატთა შორის აქ ნახავდით სოციალისტური შრომის გმირებს გ. ლორთქიფანიძეს, შ. არძენარეს, ჰ. ჩილაძეს, შ. აბაშიძეს, ა. ბერიძეს, ა. საფარიძეს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს გ. მახარაძესა და სხვებს, ამათ, რომლებმაც წელსაც უხვი დოვლათი მოიწიეს, ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის რაზმავდნენ თანასოფლელებს.

მომხსენებელმა, საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. თავდგირიძემ და კამათის მონაწილეებმა ილაპარაკეს საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობაზე, ყურადღება გაამახვილეს მთის პრობლემებსა და ნაკლოვანებებზე.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ პარტიის რაიკომმა საანგარიშო პერიოდში მოქმედების საფუძვლად გაიხადა სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხებოდა როგორც ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის, ისე პარტიულ-ორგანიზაციული, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუჯობესების საკითხებს. რაიონის პარტიული ორგანიზაცია, თითოეული კომუნისტი, ყოველი მშრომელი კიდევ უფრო აღფრთოვანა და ახალი შრომითი წარმატებების მოპოვებისათვის განაწყო ქვეყნის ახალმა კონსტიტუციამ, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებმა „მცირე მიწამ“ და „აღორძინებამ“.

ყოველივე ამან და პარტიის რაიკომის პარტიულ-ორგანიზაციულმა და იდეურ-აღმზრდელობითმა მუშაობამ კარგი ნაყოფიც გამოიღო. მაგალითად, მეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში გასული ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით კოლმეურნეობა შრომის ანაზღაურება 76,3 პროცენტით გაიზარდა, ამაღლდა შრომის ნაყოფიერებაც. მაგალითად, მეათე ხუთწლედის ორ წელიწადში მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემოსავალი თამბაქოდან, რომელიც რაიონში სოფლის მეურნეობის წამყვანი კულტურაა, 2,5 მილიონი მანეთით გაიზარდა. წელიწადს კი გადაწყვეტილი აქვთ ადრე არნახული მოსავალი — 1.000 ტონა ხმელი თამბაქო მიჰყიდონ სახელმწიფოს.

მთის რაიონის პრობლემები და კომუნისტები

აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ მთაში ჩაი გაიხარებდა, მაგრამ სწორმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ და ხალხის მონდომებამ, როგორც იტყვიან, სასწაული მოახდინა — ქართული ჩაი მშვენივრად შეეგუა ქედის ჰაეს. მას ახლა სოფლის ეკონომიკაში შემოსავლის 30 პროცენტი უჭირავს. საანგარიშო პერიოდში გეგმის გადამეტებით აწარმოეს 700 ტონა ჩაის ნედლეული. ამ ბოლო ხანებში აქ იხრდება ჩაის საშუალო ჰექტარობრივი მაჩვენებელიც.

ქართულმა ვაზმა ისევ გაიდგა ფესვი ოდესღაც მოძალადის ულმობელი ხელით აჩეხილ ნაზვრებში. წლეულს ქედელებმა სახელმწიფოს მარანს 1070 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი ჩააბარეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად დადებითი ძვრები მოხდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაშიც. ახლა რაიონში გადაჭარბებით სრულდება პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების დაზადების გეგმები, უმჯობესდება პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, მეცხოველეთა შრომისა და ცხოვრების პირობები.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. მაგალითად, ფერმებში დიდია დაბალპროდუქტიული პირუტყვის ხვედრითი წილი, საჭიროა მისი ჯიშობრივი შემადგენლობის გაუჯობესება, ყველა კოლმეურნეობაში საკმარისად არ არის ფერმების კაპიტალური შენობები, აკლიათ მექანიზაცია, მთლიანად არ არის გადაჭრილი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის და, განსაკუთრებით, უხვი საკვების დამზადების საკითხი. კოლმეურნეობებს არ ყოფნით საძოვრები და სათიბები. ამიტომ ისინი იძულებულნი არიან შორეულ რაიონებში შეისყიდონ თივა. მისი შემოზიდვა კი საკმაოდ ძვირი ჯდება. ამის გამო მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება კვლავ მაღალია. მაგალითად, შარშან ცენტნერი ხორცის წარმოება 920 მანეთი დაჯდა, ცენტნერი რძისა — 46 მანეთი. შარშან მეცხოველეობის დარგში რაიონმა 314 ათასი მანეთი იზარალა. გარდა ამისა, მოუგვარებელია ვეტერინარული სამსახური, არ ყოფნით სპეციალისტები. მართალია, ითქვა კონფერენციაზე, რომ ამ ბოლო წლებში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, მაგალითად, შეიქმნა გაერთიანება „რაიცხოველმრეწვი“, რომელიც პერსპექტიულია და მოგებას იძლევა, მაგრამ მას არ შეუძლია აანაზღაუროს საკოლმეურნეო ფერმებში გამოწვეული ზარალი.

კონფერენციის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ რაიონის პარტიული ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსახლეობის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ამას კარგი შედეგიც მოჰყვა. მაგალითად, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ რაიონის სოფლებში მხოლოდ საცალფეხო გზები იყო, სურსათ-სანოვაგე ზურგით ან ცხენით აჰქონდათ მშრომელებს. ახლა კი თითქმის ყველგან საავტომობილო გზებია. წინათ ქედელ გლუხკაცს ცხენი ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, ახლა კი მსუბუქი ავტომანქანები, გაზქურა, ტელევიზორი, ელნათურები ყველგან დამკვიდრდა. რაიონში არ არის კუთხე, სადაც არ იყოს სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ბიბლიოთეკა... კეთილმოწყობილი სოფლის ცენტრები დაბებს დაემსგავსა. ახლა ქედელი მუშის საშუალო-თვიური გამომუშავება 214 მანეთს აღწევს, მნიშვნელოვნად იმატა კოლმეურნეთა ანაზღაურებამაც.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ პარტიის რაიკომისა და პირველადი პარტორგანიზაციების დიდი პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის შედეგად რაიონში შემცირდა რელიგიური რეციდივები და სხვა ნეგატიური მოვლენები, ამაღლდა პარტიული ინფორმაციის ქმედითობა, პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ეფექტიანობა. მშრომელთა იდეოლოგიური უზრუნველყოფა გამოიხატა საზოგადოებრივი და სამეურნეო საკითხების წარმატებით გადაწყვეტაში...

კონფერენციის მონაწილეებმა კიდევ დიდხანს ისაუბრეს ამ და სხვა მოპოვებულ წარმატებებზე, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება არსებულ ნაკლოვანებებს, გადაუჭრელ პრობლემებს დაუთმეს, იმსჯელეს მათი გამოსწორების გზებსა და საშუალებებზე. დელეგატების გამოსვლები გამსჭვალული იყო მიღწეულით დაუძაყოფილებლობის გრძნობით. ყოველივე ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამრეწველო, კრიტიკულმა და თვითკრიტიკულმა საანგარიშო მოხსენებამ, რომელმაც კამათის მონაწილეებს მიმართულება მისცა ემსჯელათ ნაკლოვანებებსა და გადაუჭრელ პრობლემებზე, დაესახათ მათი გამოსწორების გზები...

კონფერენციაზე კამოვიდნენ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე თ. ჯაბადარი და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, დ. დიასამიძე.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება, რომელიც ავალებს პარტიის რაიონულ კომიტეტსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს კიდევ უფრო სრულყონ ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიურ-პარტიული მუშაობა, ამაღლონ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, მტკიცედ დარაზმის რაიონის შრომითი კოლექტივები, მათი ავანგარდი — პირველადი პარტორგანიზაციები, თითოეული კომუნისტი პარტიის წინასწარდასახულობათა წარმატებით შესასრულებლად.

კონფერენციამ აირჩია პარტიის რაიონული კომიტეტის შემადგენლობა და საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კონფერენციის დელეგატები.

გაიმართა პარტიის ქედის ახალარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ა. ნ. თავდგირიძე**, მეორე მდივნად — **ვ. ა. ბოლქვაძე**, მდივნად — **დ. რ. თურმანიძე.**

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

„ყამირმა ჩვენც მოგვცა გაკვეთილი...“

გასულ შაბათს სოფელ გამარჯვების მცხოვრებნი შეიკრიბნენ ადგილობრივ კლუბში, რათა ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ შთაბეჭდილებანი ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „ყამირის“ შესახებ

ნოემბერმა მხოლოდ ოდნავ გააფერადა ოქტომბერი. სოფელ გამარჯვების ბაღების მორთულობა პირველად სუსხის დადგომის შემდეგ. მინდვრებში მთავრდება მოსავლის აღება.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ფოტოსურათი, რომელსაც ასე სათუთად ინახავს ადგილობრივი სკოლის პედაგოგი ფმირან ნათენაძე, გადაღებულია აქ, სოფლის გზაზე. პირველკლასელ ბიჭს მამისეული ჩექმა და ტყაპუჭი ჩაუცვამს, და მისთვის თითქოს არაფერს წარმოადგენდესო არც მუხლამდე ტალახი და არც ცივი ქარი. ისე ულიმის ობიექტივს, გულში ჩაუკრავს მუშამბაში გამოხვეული სახელმძღვანელოები.

ეს მოუვარულის მიერ გადაღებული ფოტოსურათი ნათენაძემ მოიტანა კლუბში, სადაც გასულ შაბათს გამარჯვებელები შეიკრიბნენ. აქ ამიტომ მოიტანა, რომ ახალგაზრდებისათვის ეჩვენებინა ეს, იქნებ, უკანასკნელი დოკუმენტური დადასტურება სოფლის წარსულისა, რომელსაც სიმბოლურად გამორჩევება დაერქვა. მაშინ, მეოთხედი საუკუნის წინათ, ხომ ვერავინ იფიქრებდა, რომ სოფელი ასფალტის გზებით დაფარებოდა, გაშენდებოდა კოლონა და ჭადრის ხეიანები. მაშინ, 1953 წელს ჯერ კიდევ ახალგაზრდა კოლმეურნეობამ შეძლო დროებით მოეთავსებინა სკოლის კლასები რვა სამოთახიან სახლში. სამგორის ყამირის ათვისება დიდწყეს მთავარით — მათი მომავლისათვის ზრუნვით, ვისთვისაც მრავალი წლის შემდეგ ეს ადგილი შობლიური მხარე უნდა გამხდარიყო.

— სწორად წერს ამხანაგი ბრეჟნევი: „ყამირი მარტოოდენ სახნავი როდია, ეს არის საცხოვრებელი სახლებიც, სკოლები...“, — უთხრა კლუბში შეკრებილი ნათენაძემ.

გამარჯვებელებმა ამ ღიის უკვე მოასწრეს გასცნობოდნენ „ყამირს“, და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებებმა ყაზახეთის ტრამალების მიღიონობით ესოციალისტ ჭეტარების გარდამქმნელი საბჭოთა ადამიანების გმირული ეპოპეის შესახებ მათ გაუღვიძა სურვილი აზრი გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის ამ შთამბეჭდავი ნაწარმოების თაობაზე. იმ გამარჯვებელებს, რომლებმაც უკვე ორმოც წელს გადაბიჯეს, მოეძღვნა წილი ახალი მიწების ათვისებისათვის ბრძოლაში. მათ შორის არიან ისინიც, ვინც იმუშავა ყაზახეთში. ხოლო მათი დიდი უმრავლესობა სამგორის ყამირსა ტეხდა. სწორედ ამიტომ არიან ისინი განსაკუთრებული მკითხველები.

— ლეონიდ ილიას ძის მოგონებათა თითოეულ სტრიქონს, — თქვა ადგილობრივი საბჭოთა მეურნეობის მთავარმა ინჟინერმა ეოთრამ სვანიძემ, — გადაეყვანართ იმ დროში. როცა თვითონ სიტყვა „ყამირი“ მოწოდებად გაისმოდა. მაშინ სტატისტიკა-მენანიოს ბედმა გამოიმა, სამ ზაფხულს, 1956 წლიდან მოყოლებული, თავი გამომეცადა ყაზახეთის მიწაზე, როგორც ადამიანს, და როგორც ეს ბორცი, რომელთა წარმოების გეგმები წელს გადაჭარბებით შესრულდა.

— ლეონიდ ილიას ძე სწორად წერს სწრაფ ცვლილებებზე, — თქვა ერთ-ერთმა ყველაზე დამსახურებულმა გამარჯვებელმა 68 წლის ქიტესა ბელაშვილმა. — ჩვენმა ახალგაზრდობამ მხოლოდ გადმოცემით იცის, როგორ იშლებოდა აქ გავარვარებული ქვა. თუ კაკლის დამტვრევას მოინდომებდი, სამგორში ხომ ნაკლებია ნალექები, ეიდრე სადმე საქართველოში. მაგრამ ოდესღაც, უძველეს დროში აქ ყოფილა ბაღები და ტყეები. რომლებიც უცხოელებს მოუსპიათ, გაუჩეხავთ და გადაუბუგავთ. ასრულებდა რა კავკასიის კომუნისტებისადმი დიდი ლენინის ანდერძს რწყვის საქმიროების შესახებ, რომელიც მხარეს გარდაქმნილა და აღორძინებიდა, პარტიამ დაისახა და გადაწყვიტა სამგორის ათასობით ჰექტარი მიწის გაცოცხლების ამოცანა. მართალია, ყაზახეთში ახალი მიწისათვის ბრძოლის მასშტაბსა და გრანდიოზულობას, რაზეც ასე ბრწყინვალედ წერს ამხანაგი ბრეჟნევი, საქართველოს ყამირის ათვისება ვერ შეედრება. მაგრამ, როცა „ყამირს“ კითხულობ, უნებურად გაგაყოს პარალელი, ბევრ საერთოს პოულობ ომასთან, რაც მოხდა აქ, თბილისის მახლობლად. ჩვენც გვიტყდებოდა გუთნები, სახნავსება, ჩვენც ვძლევდით სიძნელეებს და ამავე დროს აღსავსენი ვიყავით ოპტიმიზმით, ჩვენს შორისაც გამოირჩოდნენ ნამდვილად ნიჭიერი, მაგრამ თავმდაბალი ადამიანები, რომლებიც უბრალოდ და შეუფერებლად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. მართალია, „მიწა ზრდიდა ადამიანებს“. ჩვენ აქ თითქმის მთელი რესპუბლიკიდან ჩამოვედით, სხვადასხვა ხასიათის, სხვადასხვა ტრადიციების ადამიანები. მაგრამ საერთო ძნელმა საქმემ თანამოაზრეთა კოლექტივად შეგვაკავშირა და დაგვამეგობრა.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ბარონომი გორამ დაეითის ძე ჯაფარიძე გამარჯვებაში შედარებით ახალი კაცია, აქ სულ ორი წელია მუშაობს. მაგრამ ყველანი დაგეარწმუნა თავის კომპეტენტურობაში, მოწადირა ჩვენი გული სამართლიანი მომთხოვნელობით, საქმის ცოდნით, რასაც ღღენიადაგ გვიმტკიცებს ადამიანებზე ზრუნვით.

— მინდა განსაკუთრებით მივაპყრო თქვენი ყურადღება, — თქვა მან, — ლეონიდ ილიას ძის ერთ ფრაზას: „ყველაფერი სასარგებლო, რასაც გამოცდილება მოგვიყვანს სწრაფად უნდა ჯავიერცელოთ“, ამას ამბობდა მეშველ ვამბობ. რომ დღეს ჩვენ თითოეულ მეშველ ძროხაზე ორი ათას კილოგრამ რძეს ვიღებთ. ამას — საშუალოდ. დარიკო ალელიშვილს, თუთა და თამარ გოგოლეურებს, თამარ ნათენაძეს კი მაჩვენებლები ერთნახევარჯერ მეტი აქვთ. ჯერჯერობით მათი გამოცდილება საერთო კუთვნილებად ვერ გადავაქციეთ. მაგრამ გადავაქცევთ!

დირექტორი მეცხოველეობის პროფილით მეურნეობის სპეციალისტიც იდეის მოზიარეა. როგორც ჩანს, იგი იმათთაგანია, ვინც „თავის ხახს ატარებს სოფლის მეურნეობაში და მუდამ ხედავს საბოლოო მიზანს“. იგი ცდილობს გაფუძნებულის მეშველი ჯოგის სულადობა, იმედი აქვს, რომ სამი ათას სულამდე გაადიდებს მას. მისი შთანთქმერი და გეგმები კოლექტივში ჯარგად იციან ფ ამ ოპტიმიზმსაც იზიარებენ.

ამ შაბათის დღეს გამარჯვებელები გვიან დაიშალნენ. (ვიტყვით, რომ ზოგი დიდი ხანი არ არის, რაც ახალ ორსართულიან საკუთარ სახლებში დაბინავდა, ზოგიც ემზადება ახალმოსახლეობის გადასახდელად, — დოვლათი ამითაც ჩანს). საუბარი გზაშიც გრძელდებოდა, ეიმკრებთან, რომელთა მიღმა შემოდგომის ბაღები ხურმას გადაუყვითლებია ფა ოდნავ შეწითლებულა ვაზი. (საქინფორმი).



სურათზე: თბილისის ავრეშუმის საწარმოო გაერთიანების მოსამზადებელი საამქროს მკსნელავები ეცნობიან ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოგონებას — „ყამირს“.

მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ახლოები — იგივე ყამირია

ბევრი რამ დაწერილა და იწერება ყამირზე, მეყამირეთა გმირობასა და ბეღზე. მაგრამ მე მტკიცედ შემიძლია ვთქვა: იმდროინდელი ყამირის ამბების ესეთი განზოგადებული და ალამართალი სურათი, როგორიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა დაგვიხატა „ყამირში“, ჯერ არავის არ შეუქმნია. და ეს არ არის გასაკვირი. იმ წლებში ხომ ლ. ი. ბრეჟნევი ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჯერ მეორე, მერე კი პირველი მდივანი იყო და უშუალოდ მონაწილეობდა ამ გრანდიოზულ ამბებში.

მე მიწათმოქმედი ვარ. და გასაგებია სიხარული, რომელიც „ყამირის“ წაკითხვამ მომანაგა. წიგნში ლირსეულად არის შეფასებული მიწათმოქმედთა გარჯა.

ეს კიდევ ერთი მომენტი, რომელსაც მინდა შევეხო. მე, ისევე როგორც ჩემს თანასოფლელებს, ცხოვრებაში მქონდა „ჩემი“ ყამირი. კარდანახის საბჭოთა მეურნეობა რაიონის ერთ-ერთი უდიდესი მეურნეობაა. მის ზერეს დაახლოებით 800 ჰექტარი უკავია. აქედან 590 — სრულმოსავლიანია. არც თუ ისე დიდი ხნის წინ კი აქ ტყეთა და ჯაგებით დაფარული ხევ-ხეოვები იყო.

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის ლეიტმოტივი, მე მგონი, მარტო მეყამირეთა გმირობის ასახვა კი არა, იმის ცხადყოფაც არის, რომ საბჭოთა ადამიანებს უნარი შესწევთ წარმატებით გადაწყვიტონ კომუნისტური აღმშენებლობის, რთული ძნელი ამოცანები. და დღეს ისინი წყვეტენ ამ ამოცანებს — აშენებენ ბაიკალ-ამურის მაგისტრალს, ენგურჰესს, იღებენ ნავთობს ტიუმენის ოლქის სივრცეებში... წიგნი პარტიულ. სამეურნეო ხელმძღვანელებს ბევრ რამეს ასწავლის.

შ. გულაშვილი,
კარდანახის საბჭოთა მეურნეობის პროფკომის თავმჯდომარე.

გეგმიდან შენობამდე:

ვაშენებთ, მაგრამ...

კაპიტალურ მშენებლობაში — მეტი წესრიგი, დისციპლინა

კაპიტალურ მშენებლობაში ამ ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება. ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკას მართლაც აქვს საფუძველი თამამად ილაპარაკოს. მაგრამ ამ ჯერად მშენებლობის საკითხებისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ, გვინდა ყურადღება ნაკლოვანებებზე გავამახვილოთ. პირუთვნელად უნდა ითქვას, რომ ღღის კიდევ უფრო უკეთესად და მეტი გაკეთდებოდა, მშენებლობას ცალკეული ხარვეზები რომ არ ჰქონდეს.

რესპუბლიკაში 1978 წლს ობიექტების ამოქმედების 9 თვის გეგმა 78 პროცენტით შესრულდა. ეს არ არის მშენებლობაში მხოლოდ ერთი წლისათვის დამახასიათებელი. მაჩვენებელი, სავალალოდ ასე ხასიათდებოდა იგი წლების მანძილზე და ასევ მიმდინარე წელსაც. ბევრჯერ თქმულა მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ, ობიექტები რომ თავის დროზე არ ბარდება, ზოგჯერ რაც ბარდება ისიც უხარისხოა, აშენებული ობიექტები ძვირი ჯდება, ხშირად ნიავდება როგორც ფულადი, ისე მატერიალური რესურსები და სხვ. არც ღონისძიებების დასახა დაეკლებია, მაგრამ საქმე ბოლომდე მაინც არ გამოსწორებულა.

ცხადია, საგაზეთო წერილით ამ მეტად რთულ საკითხზე „ამომწურავი პასუხ-ს გაცემას ჩვენ ვერ შეეძლებთ, მაგრამ შევეცდებით უფრო პრაქტიკული გავხადოთ ზოგიერთი მათგანის დაყენება, რომლებიც უკვე დიდი ხანია დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს. ბოლოს და ბოლოს, წერტილი ხომ უნდა დაესვას ხარვეზებს, რომლებიც ხელს უშლის მშენებლობის ნორმალურ მსვლელობას.

სამეურნეო საქმე, ისევე როგორც მშენებლობის ყოველგვარი საქმიანობა, დაეგეგმვით იწყება, რადგანაც სწორი, რეალური გეგმის შედგენაზე ბევრად არის დამოკიდებული მშენებლობის როგორც შემდგომი ნორმალური მსვლელობა, ისე მისი წარმატებით დამთავრება.

ზემოთ ვთქვით, რომ წლების მანძილზე არ სრულდება ობიექტების ჩაბარების გეგმა, რაც გარკვეულ წილად კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციაზე, გასაშვებ ობიექტებზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ ყოველწლიურად მთელი რიგი ღონისძიებანი ხორციელდება, სასურველ შედეგს მაინც ვერ ვაღწევთ, რადგან კვლავ გრძელდება ობიექტებზე სახსრების უმართებულო დაქსაქსვა. მაგალითად 1977 წელს რესპუბლიკური დაქვემდებარების 70 მშენებლობაზე (რომლებიც რესპუბლიკის მშენებლობის ბანკის მეშვეობით ფინანსდებოდა) დამთავრების ვადები, იმის გამო, რომ სათანადო სახსრები არ გამოიყო, ხელოვნურად იქნა გაგრძელებული. ამავე დროს დაიწყო 66 ახალი ობიექტის მშენებლობა, რომელთა შორის 49 ობიექტს ნორმით გათვალისწინებული 33 მილიონი მანეთი დააკლეს.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ამ მხრივ 1978 წელს. 72 მშენებლობის დამთავრება შემდგომ წლებში იქნა გადატანილი, თუმცა ეს ობიექტები ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ უნდა დამთავრებულიყო. ამავე დროს საგეგმო ორგანოებმა გეგმაში 88 ახალი ობიექტი შეიტანეს.

ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდად გამოიყურება 1979 წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმის პროექტი. რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების 42 გარდამავალი მშენებლობა შემდგომ წლებშია გადატანილი, პროექტში კი 143 ახალი ობიექტია შეტანილი. მათი დაფინანსებისთვის გამოყოფილია 34,9 მილიონი მანეთი, მაშინ, როდესაც 64,4 მილიონი მანეთია საჭირო.

ყოველივე ეს პირველ რიგში იმაზე მიგვითითებს, რომ კაპიტალური მშენებლობის გეგმაში ამა თუ იმ ობიექტის შეტანა სათანადო ეკონომიკური დასაბუთების გარეშე ხდება, ზოგჯერ კი ისეთი ობიექტები არ შეაქვთ გეგმაში, რომელთა სხვა დროისათვის გადატანა ყოვლად გაუმართლებელია.

ამ ბოლო ხანებში მეტისმეტად გასაშრდა სამინისტროებისა და უწყებების მიერ გეგმაში ცვლილების შეტანა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გეგმა უმეტეს შემთხვევაში ყოველგვარი დასაბუთების გარეშეა შედგენილი. ამით უხეშად ირღვევა ამ მხრივ ზემდგომი ორგანოების დადგენილება და კიდევ ერთხელ თვალნათლივ ჩანს გეგმის და მგეგმავი ორგანოების ნაკლები პასუხისმგებლობა.

ზემდგომი ორგანოების მითითებათა საწინააღმდეგოდ, სამინისტროები და უწყებები ყოველგვარი ვადების გასვლის შემდეგ ხშირად მიმართავენ საგეგმო ორგანოებს და დადებით გადაწყვეტასაც აღწევენ გეგმებში ცვლილების შეტანის მხრივ.

მარტო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ 1977 წელს 7-ჯერ, ხოლო 1978 წლის 9 თვეში 8-ჯერ შეძლო მიმდინარე წლის გეგმაში ცვლილებების შეტანა. რესპუბლიკის მშენებლობის ბანკის ცნობით, 1978 წლის 1 აგვისტოსათვის 46 მშენებლობაზე დაფინანსება არ იყო გახსნილი.

მშენებლობის მსვლელობას ხელს უშლის აგრეთვე შეფერხებანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდებაში. სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მიერ 1978 წლისათვის დასაფინანსებელი ობიექტებიდან 1977 წლის 1 სექტემბრამდე სათანადო დოკუმენტაციით უზრუნველყოფილი არ იყო 143 მშენებლობა 45 მილიონი მანეთი წლიური კაპიტალური დაბანდებით. უფრო მეტიც, აღნიშნული ობიექტებიდან 10 ობიექტი 1978 წლის 1 აგვისტოსაც კი არ იყო უზრუნველყოფილი დოკუმენტაციით.

ივივე მეორდება მიმდინარე წელსაც: 1978 წლის 1 სექტემბრისათვის 1979 წელს ასაშენებელი 136 ობიექტი (50,2 მილიონი მანეთის წლიური კაპიტალური დაბანდების მოცულობით) არ იყო უზრუნველყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით.

ეს მაშინ, როდესაც რესპუბლიკის საპროექტო ინსტიტუტები თავიანთ სამუშაო გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ და სამინისტროებსა და უწყებებს თავიანთ თარიღებზე უწყვიტან „გადაყრილი“ საპროექტო სამუშაოები, რომელთა ღირებულება ასიათასობით მანეთია. სადირექტივო ორგანოების არაერთი მითითებით კი ხარჯთაღრიცხვა დამტკიცების შემდეგ სამოლოო უნდა იყოს და მშენებლობის პროცესში ცვლილებას შეტანა, წესით, არ შეიძლება.

საპროექტო ორგანოების შეცდომები, მშენებლობის ვადების გაჭიანურება, შემკვეთი ორგანოების მიერ დაგალებათა პარამეტრებში ცვლილებების შეტანა, ექსპერტიზების სუსტი მუშაობა — აი ძირითადი მიზეზები, რომლებიც საფუძვლად უდიან ხარჯთაღრიცხვებში ცვლილებებს. შერჩევითი წესით დადგენილ იქნა, რომ 1978 წელს 20 გარდამავალ ობიექტზე, რომელთა მშენებლობა 1977 წელს დაიწყო, ხარჯთაღრიცხვები გადიდდა 20,2 მილიონნი მანეთით, რაც მათი პირველადი ღირებულების 35,5 პროცენტს შეადგენს.

არასწორმა დაგეგმვამ ხელი შეუწყო იმას, რომ განუზომლად გაიზარდა დაუმთავრებელი მშენებლობა, რამაც მიმდინარე წლისათვის 1.450 მილიონი მანეთი შეადგინა, რაც რესპუბლიკის წლიური კაპიტალური დაბანდების 118 პროცენტია.

ეს საქმის ერთი მხარეა, საქმის მეორე და მეტად მნიშვნელოვანი მხარე კი თვით მშენებელთა მუშაობაში არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებებია.

წერილში ჩვენ საუბარი ძირითადად საქართველოს მშენებლობის ხამინისტროზე გვაქვს.

სამწუხაროდ, მშენებლობის სამინისტრო წლითიწლობით ვერ ასრულებს როგორც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმას, ისე საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დავალებებს (1976 წ. — 97,2; 1977 წ. — 99,0), 1978 წლის 9 თვის გეგმა კი 96 პროცენტით შესრულდა. და ეს მაშინ, როცა საკუთარი ძალებით მშენებლობის პროგრამა 1977 წელს 1975 წელთან შედარებით 4,7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო საშუალო წლიური ძირითადი ფონდები — 11,1 პროცენტით.

საგეგმო დავალებათა შეუსრულებლობა, სხვა მიზეზებთან ერთად სამინისტროთა სისტემაში ეკონომიკური მუშაობის დაბალი დონით აიხსნება. ასეთი შეფასების უფლებას გვაძლევს ის, რომ ჯერ-ჯერობით სერიოზულად არავის შეუსწავლია სამინისტროს დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლების მიზეზები. 1 ოქტომბრისათვის ვადაგადაცილებული დავალიანება როგორც ბანკის, ასევე სხვა მიმწოდებლების მიმართ შეადგენდა 94,8 მილიონ მანეთს. ვალის გადაუხდელობა ძირითადად გამოწვეული იყო ფულადი და მატერიალური რესურსების უყაირათო ხარჯვით და აღრიცხვის დაბალი დონით.

იმის ნაცვლად, რომ სამინისტრომ გეგმით გათვალისწინებული მოგება მიიღოს, ყოველ სამეურნეო წელს ზარალით ამთავრებს. მაგალითად, 1975 წელს ზარალი შეადგენდა 19,1 მილიონ მანეთს, 1976 წელს — 22,9 მილიონ მანეთს, ხოლო 1977 წელს — 30,1 მილიონ მანეთს.

სამწუხაროდ, თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა ობიექტის ღირებულების საკითხს, არავის არ აინტერესებს, თუ რა ჯდება ობიექტი, რით არის გამოწვეული გაძვირება და სხვა. აქ ინტერესი ერთია — როგორმე ჩაბარდეს ობიექტი. ხშირად, სამწუხაროდ, არც მის ხარისხს დაგიდევენ. ეკონომიკისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგია, რომ მშენებლობის ეკონომიკური მაჩვენებლები სასალხო მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით ყველაზე დაბალ დონეზეა.

1977 წელს სამინისტროს 17 სამშენებლო ტრესტიდან და 4 სახალხო-სამშენებლო კომბინატიდან მხოლოდ 8 ორგანიზაციამ შეასრულა თვითღირებულების შემცირების გეგმა, 55 პირველადმა სამშენებლო ორგანიზაციამ კი საგეგმო თვითღირებულებას გადააჭარბა.

1977 წელს არამწარმოებლურმა ხარჯებმა, ჯარიმებმა, ხაურავებმა, ვადაგადაცილებულ სესხებზე მომატებულმა პროცენტებმა 2 მილიონნი მანეთი შეადგინა, ხოლო 1978 წლის პირველ ნახევარში 1,8 მილიონ მანეთს მიაღწია.

მაჩვენებლებზე ასევე უარყოფითად მოქმედებს სამშენებლო ორგანიზაციების მიერ უგეგმოდ შესრულებული სამუშაოები. 1977 წელს მშენებლობის ბანკმა 684,5 ათასი მანეთის უგეგმო სამუშაოები გამოავლინა.

ამ საკითხზე

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე ორაკლის ძე ბაქრაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი — ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოცი წლისთან დაკავშირებით;

მწერალი ბონდო კონსტანტინეს ძე კაშელავა — ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წლისთან დაკავშირებით;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 1 ნოემბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ალექსანდრე პაღლეს ძე ძორეულიშვილი — საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, მოშენებისა და თევზჭერის რეგულირების („საქშავზღვათევზმშენის") სამმართველოს უფროსი — რესპუბლიკის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წლისთან დაკავშირებით.

ნიკოლოზ ვასილის ძე ბარნოვი — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო სამსახურის განყოფილების უფროსი — შინაგან საქმეთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წლისთან დაკავშირებით.

გივი ანტონის ძე ჯაჯაია — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის სოფლის კომიტეტის ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე — პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლისთან დაკავშირებით.

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის საპატიო წოდება მიენიჭა:

ამხ. ვენერა სეგერიანის ასულ ენუქიძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ბუღალტრის მოადგილეს საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

„კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლის შედეგ

ფიცი გვწამს, გოლო გვაკვირვებს

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო

ამ სათაურით „კომუნისტში" დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა თბილისის მოსახლეობის პურით მომარაგებაში არსებულ ნაკლოვანებებს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გვაცნობს:

— წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. ამ საკითხზე იმსჯელა თბილისის № 7 ავტოსატრანსპორტო საწარმოს საერთო კრებამ, დამნაშავე მძღოლების მიმართ მიღებულია სხვადასხვაგვარი ზომები.

გაერთიანება „ავტრომბტრანსის" მუშაობის საკითხი განხილულ იქნა საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე. წერილში აღნიშნული ფაქტებისა და სხვა დარღვევებისათვის მინისტრის ბრძანებით გაერთიანების გენერალურ დირექტორს ი. ბაბაკაშვილს გამოეცხადა საყვედური, ხოლო მთავარ ინჟინერს ე. კორძაძეს — სასტიკი საყვედური.

თბილისის № 7 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მთავარმა ინჟინერმა გ. გოგოლაშვილმა მიიღო სასტიკი საყვედური.

სამინისტრომ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი თბილისის მოსახლეობის პურითა და პურპროდუქტებით მომარაგების გასაუმჯობესებლად.

როცა მომთხოვნელობა მოდუნებულია

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო

ჟიათურის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა კრიტიკული წერილი, „როცა მომთხოვნელობა მოდუნებულია". ამის გამო საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო რედაქციას ატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული სტატია შეისწავლეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ და ქ. ჭიათურის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ. სტატიაში მოყვანილი ფაქტები ხინამდვილეს შეეფერება და საკითხი სავსებით სწორად არის დასმული ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ასამაღლებლად.

ქ. ჭიათურის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებზე ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის საკითხი განიხილა სამინისტროს ცენტრალურმა კომისიამ.

დასახულია ღონისძიება ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

უპარჩენო ტექნოლოგიის გზაზე

სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა რეგისტრაციაში გაატარა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა აღმოჩენა ორგანული ქიმიის დარგში. საკვლევის კორესპონდენტმა ამ სამუშაოს ხელმძღვანელს რუსეთის სფს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ა. ნ. კოსტას სთხოვა მოეთხრო აღმოჩენის შესახებ.

— სხვადასხვა აზოტოვანი შენაერთის სინთეზირების დროს ჩვენ სრულიად მოულოდნელ ფაქტს წავაწყდით. მიღებული ნივთიერება ტუტესთან ერთად გახურების დროს იძენდა ახალ თვისებებს, თუმცა მისი ქიმიური შემადგენლობა ძველი რჩებოდა. დეტალურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ატომები ამ ნივთიერების მოლეკულაში სხვაგვარად არიან დაკავშირებული, ვიდრე გახურებამდე. მოგვიანებით შევძელით გამოგვევლინა მსგავსი ქიმიური რეაქციების ხერეა, რომლებიც ადრე ცნობილი არ იყო.

აღმოჩენის პრაქტიკული მნიშვნელობა ის არის, რომ მის საფუძველზე შეიძლება შეიქმნას უნარჩენო ტექნოლოგია კოქსქიმიურ წარმოებაში. ქვანახშირის კოქსად გადამუშავების დროს წარმოიშობა დამატებითი პროდუქტი, აზოტოვანი ფისი. იგი ტოქსიკურია, ამატომაც მის დიდ ნაწილს წვავენ. უნარჩენო ტექნოლოგია საშუალებას მოგვცემს ერთდროულად გადავწყვიტოთ ორი ამოცანა. არ გავაჭუჭყიანოთ ბუნება და ნარჩენები სასარგებლო პროდუქტად გადავამუშაოთ. მაგალითად, ანილინს, რომელსაც საფეიქრო მრეწველობაში ფართოდ იყენებენ, როგორც საღებარს, უმთავრესად ნავთობისაგან აწარმოებენ. მისთვის საწყის ნედლეულად კი აზოტოვანი ფისიც გამოდგება. ეს ჩვენ ლაბორატორიაში დავადასტურეთ.

აღმოჩენის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობანი, რა თქმა უნდა, უფრო ფართოა, მისმა ავტორებმა ა. ნ. კოსტამ, უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა რ. ს. საგიტულინმა, ასპირანტმა ს. პ. გრომოვმა აღმოაჩინეს პრინციპულად ახალი ქიმიური პროცესები, სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვან ნივთიერებათა მიმართული სინთეზის ეფექტიანი მეთოდები. მეცნიერთა რვა ნაშრომი გამოგონებად ცნეს.

რ. ახმეტოვი.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა

ორგანული ბიბლიოთეკა

დაე, მუდამ იყოს მშვიდობა!

კუბაში გამოიცა ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი

ჰავანა, 12 ნოემბერი, (საკდესი). კუბის „საზოგადოებრივ მეცნიერებათა", გამომცემლობამ ესპანურ ენაზე მასობრივ ტირაჟად გამოსცა კრებული „დაე, მუდამ იყოს მშვიდობა!", რომელშიც შევიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებები „მცირე მიწა" და „აღორძინება".

კრებულის წინასიტყვაობა შ ი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი წერს:

ამ მოგონებებში ლაპარაკია ომიანობისა და ომისშემდგომი აღდგენის წლების ამბებზე. ეს ძნელი, ძალზე ძნელი დრო იყო. ის დრო, სულ უფრო მეტად გვშორდება, მაგრამ იმ წლების საქმენი არასდროს არ იქნება უსიცოცხლო ისტორია საბჭოთა ხალხისათვის. ისინი ჩვენი მსოფლმკვრეტელობის შემადგენელი ნაწილი, უსაზღვრო გმირობისა და თავდადების მარადიული მაგალითია, რომლითაც მთელი თაობები აღიზრდება.

დიდი სამამულო ომისა და შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის წლები შეიცავენ დიდ გაკვეთილს — ისინი ცხადყოფენ, რომ უძლეველია ხალხი, რომელიც თავის სოციალისტურ სახელმწიფოს იცავს, უსაზღვროა მისი ძალები. როცა შრომას მაღალი და კეთილშობილური იდეების ნათელი ადგას. ვფიქრობ, რომ ეს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გაკვეთილი იყო.

ბრძოლის სამართლიანობის ღრმა რწმენა ადამიანს უშიშარს, თავდადებულს ხდის.

მრავალი წლის შემდეგ, სხვა პირობებში, მაგრამ იმავე თავისუფლების იდეალებისათვის ბრძოლაში თავს არ იზოგავდნენ მონკადისა და სიერა-მაესტრას გმირები. „სამშობლო ან სიკვდილი. ჩვენ გავიმარჯვებთ!" — ეს ამაყი დევიზი ბრძოლისა და გამარჯვებების ლოზუნგად გახდა გმირმა კუბელმა ხალხმა, რომელმაც ამხანაგ ფიდელ კასტროსა და მისი თანამებრძოლების მეთაურობით სოციალისტური რევოლუციი მოახდინა და ააშენა პირველი სოციალისტური სახელმწიფო დასავლეთ ნახევარსფერ ო შ ი. რევოლუციის იდეალების რწმენამ შეაშუსვრინა კუბელ ხალხს ინტერვენტები პლაია-ხირონში.

დიდ სამამულო ომში გამარჯვებას 20 მილიონი სიცოცხლის ფასად მივაღწიეთ, მთელი ჩვენი ეროვნული სიმდიდრის მესამედი მოისპო. ყველაფერი ნოლით უნდა დაგვიწყო, ნაცარტუტიდან აღგვედგინა ჩვენი ქალაქები და ქარხნები. გვეხარბინა პური ომით გადაბუგულ და გადამწვარ ველებში, და კვლავ გამოჩნდა მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებით აღზრდილი საბჭოთა ადამიანის სიმტკიცის ფაქტორის დიადი მნიშვნელობა. სწორედ ამას ეძღვნება „აღორძინება".

კუბაში „მცირე მიწისა" და „აღორძინების" გამოქვეყნება ემთხვევა ისტორიულ ნიშანსვეტს კუბელი ხალხის ცხოვრებაში — რევოლუციის გამარჯვების 20 წლისთავს. თქვენი სახელოვანი იუბილე — ეს დიდი დღესასწაულია ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისთვისაც, რომელებსაც თქვენს შესანიშნავ ქვეყანასთან და მის ხელმძღვანელობასთან ძმური მეგობრობა აკავშირებთ. სულით და გულით გისურვებთ, ჩემო კუბელო მეგობრებო, ვუსურვებ მთელ კუბელ ხალხს ახალ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში, ჩვენი საბრძოლო ურღვევი მეგობრობის განმტკიცებაში.

მოხარული ვიქნები, თუ „მცირე მიწა" და „აღორძინება", კუბელ მკითხველებს დაეხმარებიან უკეთ გაიგონ საბჭოთა ხალხის ბიოგრაფია. კერძოდ, მისი ის ფურცლები, რომლებზეც ლაპარაკი მაქვს ამ მოგონებებში.

კრებული დასურათებულია ფოტოგრაფიებით, რომლებიც ასახავენ ლ. ი. ბრეჟნევის უდიდეს როლს სამამულო ომში და ომისშემდგომ აღორძინებაში.

გამომცემლობის მთელმა კოლექტივმა, განაცხადა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, კულტურის მინისტრმა ა. ხარტმა, ყველამ, ვინც მონაწილეობას იღებდა კუბაში ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებთა პუბლიკაციის საქმეში, — სტამბის მუშებმა, რედაქტორებმა, მთარგმნელებმა უღრმესი კმაყოფილება გამოთქვეს კრებულის გამოსვლის გამო.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი კუბის დიდი მეგობარია. კუბელი ხალხი განსაკუთრებთ გულთბილად და დიდი სიყვარულით იგონებს მის ვიზიტს კუბაში 1974 წლის იანვარ-თებერვალში, ვიზიტს, რომელიც გადაიქცა სსრ კავშირ-კუბის მტკიცე და ურღვევი მეგობრობის შესანიშნავ მანიფესტაციად და ცხადყო მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალიზმის იდეების გამარჯვება. მთელი კუბელი ხალხი ამაყობს იმით, რომ საბჭოთა კავშირის ლიდი მეგობარია.

ჰავანაზე: სამხედრო პატრულა თეირანის ქუჩაში.

აპ-საკდესის ფოტო.

მეგობრობის ვიზიტი დამთავრდა

ბისაუ, 12 ნოემბერი. (საკდესის კორ.). აქედან სამშობლოს გაემგზავრა საბჭოთა კავშირ-საზღვარგარეთის ქვეყნების მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირის დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის მინისტრი გ. გ. ლეჟავა, გაემგზავრა აგრეთვე მათთან ერთად მყოფი ქართველ მსახიობთა ჯგუფი. ისინი გვინეა-ბისაუს რესპუბლიკაში ჩამოსული იყვნენ გვინეა-ბისაუ-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების მოწვევით საბჭოთა კავშირის დღეებში მონაწილეობისათვის. გვინეაში ყოფნისას დელეგაციის მსახიობთა ჯგუფმა კონცერტები გამართა ბისაუში, კანშუნგოში, ბაფატაში და ბუბაქის კუნძულზე.

მივდივართ და თან მიგვყავს დაუვიწყარი შთაბეჭდილება გვინეა-ბისაუზე, განაცხადა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში. ჩვენ ყველგან თბილად და გულითადად გვიღებდნენ, მეგობრული შეხვედრები გვქონდა დაწესებულებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებთან, გვინეელ მშრომელებთან, ვეცნობოდით გვინეა-ბისაუს ხალხის ცხოვრებას, დამოუკიდებლობის წლებში მოპოვებულ მიღწევებს. დელეგაცია ორჯერ მიიღო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ლუის კბრალმა.

გ. გ. ლეჟავამ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ მეგობრობის საზოგადოების კავშირისა და მსახიობთა ჯგუფის დელეგაციის ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა და გვინეელი ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

გვინეა-ბისაუ-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების ხელმძღვანელობა დიდად აფასებს ამ ვიზიტის შედეგებს, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს საზოგადოების თავმჯდომარემ, შეიარაღებული რევოლუციური ძალების პოლიტიკურმა კომისარმა ჟულიუ დი კარვალიუმ. საბჭოთა წარმომადგენლებმა, აღნიშნა მან, დიდად შეუწყვეს ხელი მუშაობას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს მოსახლეობის პოლიტიკური და კულტურული დონის ასამაღლებლად.

საბჭოთა დელეგაციის წევრებს ყველგან თბილად და გულითადად ხვდებოდნენ, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ გვინეა-ბისაუს მშრომელები მხურვალე სიმპათიის და მეგობრობის გრძნობით ეკიდებიან დიდი ლენინის სამშობლოს. ჩვენ გვწამს, ხაზი გაუსვა საზოგადოების თავმჯდომარემ, რომ გვინეა-ბისაუში მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი დელეგაციის ყოფნა ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

ვინ მოკლა მარტინ ლუთერ კინგი?

ნიუ-იორკი, 13 ნოემბერი. (საკდესი). არის უცილობელი მონაცემები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკელ ზანგთა უფლებებისათვის მებრძოლი მარტინ ლუთერ კინგი გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა მოკლეს. ცნობილმა ამერიკელმა იურისტმა და პუბლიცისტმა მარკ ლეინმა განაცხადა, რომ ამ მონაცემებს შეიცავს გამოძიების ფედერალური ბიუროს საიდუმლო დოსიე. ამ დოსიეში, ხაზს უსვამს მარკ ლეინი, უტიფარი ცინიზმით არის აღნიშნული, რომ ზანგი მებრძოლი ამერიკის საიდუმლო პოლიციის ხელმძღვანელის ედგარ ჰუვერის ბრძანებით მოკლეს.

ირანის ამბები

თეირანი, 13 ნოემბერი. (საკდესი). ირანში უაღრესად დაძაბული ვითარებაა, რომელსაც შეიძლება საშიში შედეგები მოჰყვეს.

მთელ რიგ ქალაქებში მოხდა შეტაკებები მთავრობის მოწინააღმდეგეთა დემონსტრაციების მონაწილეებსა და უშიშროების ძალებს შორის. პორამეშრის მასობრივი დემონსტრაციის გასარეკად პოლიციამ იხმარა ცეცხლსასროლი იარაღი, რის შედეგადაც, როგორც პარსის საგენტო იუწყება, 5 კაცი დაიღუპა და 23 დაიჭრა. მოკლულია აგრეთვე ერთი სამხედრო პირი.

ქვეყნის დედაქალაქ თეირანში სიმშვიდეა. ქუჩებს, უნივერსიტეტებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს მკაცრ კონტროლს უწევენ შეიარაღებული ძალები და პოლიცია.

აქ გამოაცხადეს, რომ დაპატიმრებული არიან ოპოზიციური ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელები ქერიმ სანჯაბი და დარიუშ ფორუხარი. მათ ბრალად ედებათ „ეროვნული უშიშროებისა და კონსტიტუციური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობა". დედაქალაქის სამხედრო ადმინისტრაციის მეთაურმა გააკეთა განცხადება, რომ სარდლობა ყველაზე გადამწყვეტ ზომებს მიიღებს, რათა თავიდან აიცილოს „უწესრიგობა".

არ წყვეტენ მრავალი წლის გაფიცვას მენავთობეები. როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა მზად არის მათ ხელფასი მოუმატოს, მენავთობეები არ ანახლებენ მუშაობას და არც განაახლებენ, სანამ არ დაკმაყოფილებენ მათს პოლიტიკურ მოთხოვნებს.

უცხოეთის საგენტოები იუწყებიან, რომ ირანში ძლიერდება ანტიამერიკული განწყობილება. ავრცელებენ ფურცლებს, სადაც მოითხოვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნონ აქ მომუშავე ათასობით ამერიკელი მრჩეველი და სპეციალისტი. გაფიცულ მენავთობეთა ფურცლებში ნათქვამია: „იაკეთო, გეცალეთ ირანს!".

* * *

ხუთაბზე: სამხედრო პატრულა თეირანის ქუჩაში.

აპ-საკდესის ფოტო.

მოჩვენებითი „უთანხმოებანი"

ვაშინგტონი, 13 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის პრესა ამ ბოლო დღეებში ბევრს წერს „უთანხმოებებზე", რომლებიც თითქოს კვლავ წარმოიშვა კეროსსა და ტელ-ავივის მოლაპარაკებებზე. „უთანხმოებების" ალფაშირებას გაძლიერებით ეწევიან აგრეთვე თვით სეპარატული ვაჭრობის მონაწილენიც. ეგვიპტე, კერძოდ, გვაგრძნობინებს, რომ მან წამოაყენა ახალი „მოთხოვნები", რომელთა მიზანია, როგორც იგი ამტკიცებს, არაბთა საერთო მიზნების უზრუნველყოფა.

ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ვაშინგტონის მოლაპარაკებაში „კრიზისს" მორიგი ინსცენირება ისახავს ძველ მიზნებს: შენიღბოს ეგვიპტისა და ისრაელის გარიგების ანტიარაბული არსი და ეგვიპტის პრეზიდენტი, რომელმაც იარაღი დაყარა აგრესორის წინაშე, წარმოგვიდგინოს არაბული ინტერესებისათვის მებრძოლად. ეს საქმეკილი სამარცხვინო გარიგების მონაწილეებმა გაითამაშეს იმისათვის, რომ როგორმე მიჩქმალონ არაბულ სამყაროში ბაღდადის ზედა ფენების თანმბირის მიერ გამოწვეული რეზონანსი, თანმბირისა, რომელმაც დაადასტურა არაბთა მჭიდრო შეკავშირება კაპიტულანტური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში, გადაჭრით რომ უარყო კემპ-დევიდის მოღალატური შეთანხმებანი. ახლა ეგვიპტისა და ისრაელის ლიდერები ცდილობენ „უთანხმოების" შთაბეჭდილება შექმნან იმ მოსენტში, როცა მათ შორის არსებითად უკვე მიღწეულია შეთანხმება სეპარატული „ზავის" ყველა ძირითად ასპექტში, რომლებიც თვალისწინებს კაიროს სრულ კაპიტულაციას, და დარჩა მხოლოდ მეორეხარისხოვანი დეტალების შეთანხმება.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" ამასთან დაკავშირებით დღეს წერს, რომ ბაღდადის უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ საფათს „სურს გააჭიანუროს დრო ისრაელთან სახვეო ხელშეკრულების ხელმოწერამდე". იგი იმედოვნებს, აღნიშნავს გაზეთი, რომ ამ პერიოდში არაბული ქვეყნების კავშირში, რომლებიც გმობენ ეგვიპტის პოლიტიკურ კურსს, „ბზარი გაჩნდება". ამ შემთხვევაში კაიროს შეუძლია იმედი იქონიოს, რომ უფრო ხელსაყრელი საერთაშორისო კლიმატი შეიქმნება ტელ-ავივთან სეპარატული „ზავის" საბოლოოდ გაფორმებისათვის.

მაგრამ, როგორც ამბები ცხადყოფენ, არაბული ქვეყნები მტკიცედ გამოდიან მათთვის კაპიტულაციის თავსმოხვევის ცდების წინააღმდეგ, განზრახული აქვთ კვლავაც განაგრძონ ერთობლივი ბრძოლა ისრაელის ჯარების გაყვანისათვის ყველა ოკუპირებული ტერიტორიიდან, პალესტინის არაბი ხალხისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭებისათვის. და ვერავითარი თამაშით ვაშინგტონში, კაიროსა ან ტელ-ავივში, არავითარი ეგვიპტე-ისრაელ ლ ი ს სეპარატული გარიგებით არ შეიძლება შეიცვალოს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ნამდვილი, სამართლიანი და-მტკიცე მოწესრიგება, რომლითაც დაინტერესებულია ყველა არაბი, მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.


ეგვიპტის ა.რ.ს.
ალექსანდრია
ალიბანი
ალ-ფაიუმ
ალ-ბაჰრ ალ-ბაჰრ
ალ-ბაჰრ ალ-ბაჰრ
ალ-ბაჰრ ალ-ბაჰრ



ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: პირველი თოვლი თბილისში. ს. კილაძის ფოტო.

ᲜᲐᲐᲓᲠᲔᲕᲐᲓ ᲓᲐᲒᲕᲘᲖᲐᲛᲗᲠᲓᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ დილით თბილისში უხვად ბარდნიდა. მთაწმინდისა და მახათის ფერდობები თეთრად შეიმოსა, რაც ჩვენი ქალაქისათვის მთლად დამახასიათებელი არ არის. თერმომეტრი საათისათვის მზე ამობრწყინდა და გამოიდარა კიდეც.

გუშინ საქართველოს უმეტეს რაიონებში თოვდა. შავი ხღვის სანაპიროსა და კოლხეთის დაბლობზე თერმომეტრი 5-9 გრადუს სითბოს უჩვენებდა. მთაში, სადაც თოვლი აღრეც იყო მოსული, თეთრი საფარის სიმაღლემ მოიმატა. მაგალითად, ბახმაროზე 113, გოდერძის უღელტეხილზე — 80, ხულოში— 21, ბაკურიანში — 14 სანტიმეტრი თოვლი დევს. ტემპერატურაც საკმაოდ დაბალია. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ერთი გრადუსი სითბო — ოთხი გრადუსი ყინვაა, დასავლეთში — ნულის ფარგლებშია.

რამ განაპირობა ასე ნაადრევი დაზამთრება და როგორი ამინდია მოსალოდნელი უახლოეს დღეებში? — ამ კითხვით მიმართა ჩვენი გაზეთის კოროსპონდენტმა თბილისის ამინდის ბიუროს უფროს ინჟინერ-სინოპტიკოს ს. ᲒᲣᲒᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ.

— ატლანტიკის ჩრდილოეთი რაიონებიდან ევროპისკენ დაიძრა ციკლონი. პაერის ცივი ნაკადი სწრაფად მოიწევდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ამ პროცესს ხელი შეუწყო ატმოსფეროს ზედა ფენებში პაერის ნაკადების სიჩქარემ, რის გამოც ცივი პაერი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სწრაფად გავრცელდა. ამან 13 ნოემბერს დამით თოვლი და ზოგან წვიმა გამოიწვია

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მოღრუბლული ამინდი, ყვიმა, მთებში — თოვლი. იქროლებს დასავლეთის ქარი. ტემპერატურა ბარში—6-11, მთაში 0-5 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოშიც მოღრუბლული ამინდია ძოსალოდნელი, ბარში თოვლ-წვიმა, მთებში თოვლი იქნება, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში — 1-6 გრადუსი სითბო, მთებში ერთი გრადუსი სითბო, საძი გრადუსი ყინვა.

თბილისში მოსალოდნელია მოღრუბლული ამინდი, ძცირე ნალექი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 4-6 გრადუსი სითბო.

უახლოეს დღეებში რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში კვლავ იქნება მცირე ნალექი, ღამით უფრო აცივდება.

ᲕᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ მკითხველებმა — ქვრივებმა, ჭაბიანებმა, რჩეულებმა, რომლებიც სავალდებულო ხმახურო სამსახურს გადიან, კითხვებით მოგვმართეს: მსოფლიოში რომელი ენა ყველაზე განვითარებული და მდიდარი ბევრი სიტყვით. მათ შორის რომელი ადგილი უკავია რუსულს, ქართულსა და სომხურს?“ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა რედაქციამ სთხოვა ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგეს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ალ. ღლონტს. ვთხოვეთ მის პასუხს.

სიტყვა და ენა

რას ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ „ᲣᲛᲓᲘᲓᲠᲔᲡᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲐ“

ᲫᲕᲚᲘᲡ კიდეა დაასახელო მხოლოდ ერთი რომელიმე ენა, რომელშიც „ბევრი სიტყვაა“, ასეთი ენა ქვეყანაზე მარტო ერთი ან ორი როდია. მრავალია. სათი და მრავალფეროვანი ლექსიკის მარაგით განსაკუთრებით მდიდარია, მაგალითად, რუსული, უკრაინული, ლიტვური, ლატვიური, ებრაული, ებერსული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ინგლისური, ჰინდი, იაპონური, არაბული, პორტუგალიური და სხვა ენები. მათ შორის საპატიო ადგილი უჭირავთ აგრეთვე ქართულსა და სომხურ ენებსაც.

რუსული — რუსი ხალხის ეროვნული და სსრ კავშირის საერთაშორისო ენა — ერთ-ერთი უფლაზე განვითარებული და გავრცელებული, საუძლოდ შესწავლილი ენაა მსოფლიოში. რუსულ ენაზე შექმნილია უმდიდრესი მხატვრული, პუბლიცისტიკური, სამეცნიერო, ტექნიკური ლიტერატურა, რომელსაც მილიონობით ადამიანი ეუფლება. სსრ კავშირის გარდა ამ ენას ინტერესით სწავლობენ მრავალ ქვეყანაში. იგი ფართოდ ეხმიანებოდა ინდოევროპიული ენების ოჯახის სლავურ შტოს. მასზე 142 მილიონზე მეტი კაცი (მათ შორის 129 მილიონი საკუთარ რუსი ეროვნებისა) ლაპარაკობს, ქართული — საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა — ერთ-ერთი დიდად განვითარებული, მეტად თავისებური სტრუქტურის ენაა, აქვს 15-საუკუნოვანი სამწერლობო ტრადიცია, მდიდარი ლექსიკა. განეკუთვნება კავკასიური ენების ქართველურ ჯგუფს. მასზე 3,5 მილიონზე მეტი ადამიანი ლაპარაკობს. ასევე სომხური — სომხეთის სსრ სახელმწიფო ენა — ერთ-ერთი უძველესად განვითარებული, 15-საუკუნოვანი სამწერლობო ტრადიციის, მდიდარი ლექსიკის მქონე ენაა, ქმნის ინდოევროპულ ენათა ოჯახის დამოუკიდებელ შტოს. მასზე 3,8 მილიონზე მეტი კაცი ლაპარაკობს.

ჩამოთვლილი და კიდევ ბევრი სხვა ენის მრავალფეროვანი სიტყვობრივი ფონდი, უწინარეს ყოვლისა, ლბეგენილია მხატვრულ, პუბლიცისტურ, სამეცნიერო, ტექნიკურ ლიტერატურაში, დიდი ნაწილი კი დოკუმენტირებულია ცალკეულ ენათა განმარტებითს ლექსიკონებში. ენის ყველა სიტყვა, ბუნებრივია, ვერ აისახება ვერც ლიტერატურაში და ვერც ლექსიკონებში. ამიტომ არა თუ ადვილი, შეუძლებელიცაა იმის ზუსტად აღრიცხვა, რამდენი სიტყვაა ამა თუ იმ ენაში, რამდენ სიტყვას იცნობს ესა თუ ის მწერალი თუ მეცნიერი. ჩვენ შეგვიძლია ზუსტად გამოვთვალოთ ამა თუ იმ მწერლის ერთი თხზულების ან მთელი მხატვრული მემკვიდრეობის ლექსიკა (ამას ცდები ძალიან ბევრი გვაქვს!), მაგრამ ამით მაინც ვერ განვსაზღვრავთ იმას, თუ რამდენი სიტყვა იყო მწერლისეული ეპოქის ენაში, ან, გნებავთ, რამდენი სიტყვა იცოდა თავად ამ მწერალმა. ლექსიკოლოგიის იდეალი იყო და არის ენის საუნჯის რაც შეიძლება სრულად აღნუსხვა და აღბეჭდვა ლექსიკონებში.

ამ დებულების ნათელსაყოფად დავასახელებ ორიოდე ფაქტს რუსული, ქართული და სომხური ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან.

რუსული ენის განმარტებითს ლექსიკონებში სხვადასხვა ეპოქამში სხვადასხვა რაოდენობის სიტყვაა შეტანილი. მის პირველ, ექვსტომიან განმარტებითს ლექსიკონში (1789-1794 წწ.) 43.257 ერთეული გვაქვს; 1834 წლის ორ ნაწილად გამოცემულ ლექსიკონში— 63.432 სიტყვა, 1847 წლის ასტომიანურ ლექსიკონში — 114.749; ვ. ი. დალის განმქმელ ოთხტომიან ლექსიკონში (პირველად 1863-1866 წწ. გამოიცა) — 200 ათასი სიტყვაა. საბჭოთა ეპოქის ოთხტომიან განმარტებითს ლექსიკონში, პროფ. დ. ნ. უშაკოვის რედაქციით რომ გამოიცა 1935-1940 წწ., თავმოყრილია 85.289 სიტყვა, ხოლო თანამედროვე რუსული ენის 17-ტომიან ლექსიკონში, რომელიც ასახავს რუსული სალიტერატურო ენის ლექსიკურ მარაგს პუშკინის ეპოქიდან ჩვენ დრამდე — 120 ათასი სიტყვაა განმარტებული.

ეს, თავისთავად უაღრესად საგულისხმო, ციფრები მოწმობენ რუსული ენის ლექსიკის უზარმაზარ სიმდიდრეს, მაგრამ ამით ზუსტად მაინც ვერ განვსაზღვრავთ რუსულ ენაში სიტყვათა რაოდენობას. იგი ამაზე გაცილებით მეტია. ენის ლექსიკის ზუსტად გამოთვლა ძნელია, რადგან ცხოვრების პროგრესთან ერთად იგი განუწყვეტლივ იცვლება, კიდეც ემატება ახალი სიტყვები, რომელთაც ბადებს ხალმე ტექნიკრების, ტექნიკის, კულტურის, სახალხო მეურნეობის განვითარება და კიდეც აკლდება მოძველებული სიტყვები, რომლებიც კანონზომიერად გამოდიან ხმარებიდან. მნიშვნელოვან როლს თავადაშობს აგრეთვე სარეზერვო ფონდიც, კილო-თქმათა სიტყვიერიც, რის ხალასი ნაწილი მწერლობის მეშვეობით გზას იკაფავს სალიტერატურო ენისაკენ და დაკმა ადამიანთა ურთიერთობის სამსახურში. აღარაფერს ეამბობ, ცხადია, სხვა ენებიდან ნასესხებ ლექსიკაზე, რომლის დამკვიდრება ენაში ხელს უწყობს ტერმინოლოგიის გამდიდრებას.

ასევე ჩვენ ვიცნობთ ქართული ენის რამდენიმე განმარტებითს ლექსიკონს, რომლებშიაც სხვადასხვა რაოდენობის სიტყვაროა ასახული. ქართული ენის პირველ განმარტებითს ლექსიკონში, რომელიც ს.-ს. ორბელიანმა შეადგინა 1685-1698 წწ. შეადგინა (პირველად 1885 წ. გამოიცა), 17 ათასზე მეტი სიტყვაა აღნუსხული, ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“ (შედგენილია 1815-1825 წწ., პირველად 1961 წ. გამოიცა) გვაქვს 14 ათასზე მეტი, დ. ჩუბინაშვილის „ქართული ენის საუნჯეში“ (1887-1890 წწ.) — 34 ათასამდის, ხოლო ჩვენი ეპოქის შესანიშნავ ძეგლში — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში, რომელიც ა. ჩიქობავას საერთო რედაქციით გამოიცა (1950-1964 წწ.), — 113 ათასამდის სიტყვაა დამოწმებული. მიუხედავად იმისა, რომ მასში მოკრძალებულადაა წარმოდგენილი ძველი ქართულის, კილოთქმებისა და დარგობრივი ტერმინოლოგიის მასალა, იგი გვაჩვენებს ქართული ენის უმდიდრესსა და მრავალფეროვან ლექსიკას, რომლის მოშველიებით შეიძლება გამოითქვას ყოველგვარი აზრი ცოდნის ნებისმიერი დარგიდან. ზუსტად გადმოითარგმნოს ყოველგვარი ტანრისა და მიმართულების თხზულება ნებისმიერი ენიდან. მაგრამ დაბეჯითებით ვიცით, რომ ქართული ენის საუნჯე ბევრად მეტ სიტყვობრივ მარაგს შეიცავს, ვიდრე ის ჩვენს ლიტერატურასა და ლექსიკონებშია დამოწმებული.

იგივე უნდა თქვას სომხურის შესახებაც. ცნობილია სომხური ენის რამდენიმე განმარტებითი ლექსიკონი, რომლებშიაც სხვადასხვა რაოდენობის სიტყვაროა ასახული, „მომცრო ბარგრეტბსა“ და ჰ. აჭარიანის სპეციალური დანიშნულების ბრწყინვალე ლექსიკონებზე რომ არაფერი ვთქვათ, სტ. მალხასიანცის განთქმული ოთხტომიანი სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი (1944-1945 წწ.) დაახლოებით 120 ათას სიტყვას იტევს და მასში საკმარისი სისრულითაა წარმოდგენილი გრაბარისა და აშხარაბარის უმდიდრესი ლექსიკური ფონდებიც. თუმცა ზდვარი არც ესაა. ვერ ვიტყვით, რომ სომხური ენის (ძველი და ახალი ეპოქის) ლექსიკა მთლიანად, ზუსტად იყოს ასახული ლექსიკონში.

რუსული, ქართული და სომხური ენების აქ დასახელებული ლექსიკონები, რომლებიც მეცნიერთა თაობების რეფუნების ნაყოფია, გეიჩვენებენ ხსენებულ ენათა მაღალ განვითარებასა და ლექსიკის კოლოსალურ სიმდიდრეს, მძლავრ გამომსახველობითს შესაძლებლობებს ნებისმიერი აზრის სრულყოფილად და ოპტიმალურად გადმოცემისათვის.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, ერთეული ენისა, ადამიანთა ურთიერთობის ეფექტური ელემენტია. მას თვალის ჩინინით უნდა მოვეფფრთხილდეთ, სათუთად მოვუფროთ, შევისწავლოთ მასში ჩაქსოვილი ყველა ნიუანსი. ამის მაგალითს, უწინარეს ყოვლისა, მწერლობა გვაძლევს. დიდი ეროვნული მწერლები ბურჯად უდგანან მშობლიურ ენას, იცავენ და ავითარებენ მის ტრადიციებს, უკლიან რომ ამდიდრებენ ლექსიკის საგანძურს, ხვეწენ და ახუსტებენ ორთოგრაფიას, სალიტერატურო ენაში კარს უღებენ ახალ კრიალა სიტყვებსა და გამოთქმებს. მათ თხზულებებში სიტყვა ზეიმობს თავის ბრწყინვალებას. ნიჭიერი მწერალი არის არა მარტო ოსტატი, არამედ მეფეი სიტყვისა. პუშკინი და გორკი — რუსული, ილია და აკაკი — ქართული, თუმანიანი და ისაკიანი — სომხური სიტყვების უბადლო ოსტატები და ქომაგები იყვნენ.

მეცნიერთა გამოანგარიშებით, მოლიერის ლეტერატურული მემკვიდრეობა 7 ათასამდის სიტყვას იცნობს, ჰომეროსის პოემებში 9 ათასზე მეტი, პუშკინის ქმნილებებში 10 ათასი, შექსპირის ნაწარმოებებში 15 ათასზე მეტი (ზოგი მკვლევრის გამოთვლით, 24 ათასი) სიტყვებრივი ერთეულია აღრიცხული. რუსთაველის მხოლოდ ერთ პოემაში — „ვეფხისტყაოსანში“ (მისი სხვა ნაწარმოებები ჩვენამდე არ მოწეულა) 7 ათასამდის სიტყვა გვაქვს. ყოველივე ეს გვაჩვენებს ამ მწერალთა ენის გასაოცებელ სიმდიდრეს. კონტრასტია: აღრინდელი ადამიანები დედაენის მხოლოდ რამდენიმე ათეულ სიტყვას იცნობდნენ. მაქს მიულერის გამოკვლევით, ინგლისელი უწიგნური გლეხის ლექსიკური მარაგი XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამას ერთეულს ძლივს აღწევდა. განა მსგავსი ადამიანები შეძლებდნენ მოლიერის, ჰომეროსის, პუშკინის, შექსპირის, რუსთაველის შედევრების წაკითხვასა და გაგებას? ამიტომ საკაცობრიო კულტურის კლასიკურ მემკვიდრეობას მაშინ მხოლოდ საზოგადოების ვიწრო, განათლებული ფენები ეცნობოდნენ. ხალხთა უწიგნური, ან დაბალწიგნიერი მასები მისგან შორს იდგნენ. ამქამად კი სულ სხვა მდგომარეობაა.

დღეანდელი ადამიანის ლექსიკური თვალსაწიერი განუზომელად ნაირფეროვანი და ტევადია. სკოლამ, წიგნმა, გაზეთმა, ჟურნალმა, რადიომ, ტელევიზიამ, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმა ქვეყნის ყველა კუნჭულებში შეაღწიეს, უწიგნურობა წარსულს ჩაბარდა, სალიტერატურო ენის პორიზონტი გაფართოვდა, შეივსო ახალი მასალით, რაშიაც მნიშვნელოვან ადგილს ინტერნაციონალური გავრცელების საერთაშორისო ლექსიკა იკავებს, და ყოველივე ამას ეუფლებიან მასები. ენის ნაზდვილ სილამაზესა და სიტურფეს ქმნის ზუსტად სიტყვა, რასაც განუზომლად დიდი ძალა აქვს. ეს ძალა ადამიანის ხელში სასწაულებს ახდენს. ყოველი ადამიანი ღრმად უნდა დაეუფლოს მშობლიური ენის საგანძურს, გონება გაამდიდროს სიტყვათა ახალი მარაგის სწავლით. სწავლა სიბერემდისო! — ამბობს გონიერი ქართული ანდაზა.

ᲐᲚ. ᲦᲚᲝᲜᲢᲘ.

ᲜᲐᲐᲓᲠᲔᲕᲐᲓ ᲓᲐᲒᲕᲘᲖᲐᲛᲗᲠᲓᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ დილით თბილისში უხვად ბარდნიდა. მთაწმინდისა და მახათის ფერდობები თეთრად შეიმოსა, რაც ჩვენი ქალაქისათვის მთლად დამახასიათებელი არ არის. თერმომეტრი საათისათვის მზე ამობრწყინდა და გამოიდარა კიდეც.

გუშინ საქართველოს უმეტეს რაიონებში თოვდა. შავი ხღვის სანაპიროსა და კოლხეთის დაბლობზე თერმომეტრი 5-9 გრადუს სითბოს უჩვენებდა. მთაში, სადაც თოვლი აღრეც იყო მოსული, თეთრი საფარის სიმაღლემ მოიმატა. მაგალითად, ბახმაროზე 113, გოდერძის უღელტეხილზე — 80, ხულოში— 21, ბაკურიანში — 14 სანტიმეტრი თოვლი დევს. ტემპერატურაც საკმაოდ დაბალია. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ერთი გრადუსი სითბო — ოთხი გრადუსი ყინვაა, დასავლეთში — ნულის ფარგლებშია.

რამ განაპირობა ასე ნაადრევი დაზამთრება და როგორი ამინდია მოსალოდნელი უახლოეს დღეებში? — ამ კითხვით მიმართა ჩვენი გაზეთის კოროსპონდენტმა თბილისის ამინდის ბიუროს უფროს ინჟინერ-სინოპტიკოს ს. ᲒᲣᲒᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ.

— ატლანტიკის ჩრდილოეთი რაიონებიდან ევროპისკენ დაიძრა ციკლონი. პაერის ცივი ნაკადი სწრაფად მოიწევდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ამ პროცესს ხელი შეუწყო ატმოსფეროს ზედა ფენებში პაერის ნაკადების სიჩქარემ, რის გამოც ცივი პაერი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სწრაფად გავრცელდა. ამან 13 ნოემბერს დამით თოვლი და ზოგან წვიმა გამოიწვია

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მოღრუბლული ამინდი, ყვიმა, მთებში — თოვლი. იქროლებს დასავლეთის ქარი. ტემპერატურა ბარში—6-11, მთაში 0-5 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოშიც მოღრუბლული ამინდია მოსალოდნელი, ბარში თოვლ-წვიმა, მთებში თოვლი იქნება, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში — 1-6 გრადუსი სითბო, მთებში ერთი გრადუსი სითბო, საძი გრადუსი ყინვა.

თბილისში მოსალოდნელია მოღრუბლული ამინდი, ძცირე ნალექი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 4-6 გრადუსი სითბო.

უახლოეს დღეებში რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში კვლავ იქნება მცირე ნალექი, ღამით უფრო აცივდება.

კეთილი ადამიანები

✦

სიცოცხლე გადაარჩინეს

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲘᲡ რაიონულ საავადმყოფოში მოიყვანეს ავადმყოფი ბ. შ. კუკეს ᲧᲐᲚᲘᲣᲚᲘᲐᲜᲐᲗᲐ ფარული სისხლის დენით. იგი ძმემ მდგომარეობაში იყო ჩაყარდნილი, წინასწარ სისხლის გადასხმის გარეშე ოპერაციული მკურნალობა შეუძლებელი გახდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ პაციენტს ალმოაჩნდა რეზუს უარყოფითი თვისების სისხლი. ასეთი სისხლი ადამიანთა მხოლოდ ათ-თხუთმეტ პროცენტს აქვს.

როდესაც ეს ფაქტი შეიტყეს, — თქვა საუბარში რაიონის მთავარმა ექიმმა ა. ᲧᲐᲠᲐᲗᲔᲚᲛ, კეთილმა ადამიანებმა სისხლის გადასხმის პუნქტს მიაშურეს. ავადმყოფის გადასარჩენად საკუთარი სისხლი გაიღეს დონორებმა ბაბუცა ფართლაძემ, კლავდია ბუცხრიკიძემ, მაგული კუბლაშვილმა, ᲟᲣᲥᲣᲜᲐ გვენეტაძემ, გივი, მურთაზ ანიკიეებმა, ალეკსანდრე ბებიაშვილმა და სხვებმა. წვეთობით გაღებული სისხლით სიცოცხლე გადარჩა.

Ო. ᲜᲘᲥᲐᲫᲐᲫᲔ.

1978 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ 11 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲥᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ (Გ. Ო. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. № 14) ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲠᲒᲘᲡ ᲙᲚᲔᲜᲨᲘ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲙᲕᲐᲠᲢᲔᲢᲘ

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲰᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ მოჭადრაკე ქალების გამარჯვება ბუენოს-აირესში საკუთარ დამჯერებელი იყო. მათ, ფაქტურად სერიოზული მეტოქე არა ჰყავდათ.

მსოფლიოს ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს ყოველდღეურად ორი სქემე ჰქონდა: მორიგი პარტიის თამაში და ავტოგრაფების უამოავი მოყვარულის დაკმაყოფილება. აი, რას წერდა მის შესახებ გაზეთ „სოვეტსკი სპორტი“ კორესპონდენტი იაკობ ნეიშტადტი: „ძალიან ძნელია მსოფლიოს ჩემპიონობა (ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონად გახდომა კიდევ უფრო ძნელია). მასთან ყველა დიდი ძალით თამაშობს, პასუხისმგებლობაც მსოფლიოს ჩემპიონს სხვა აქვს. ყოველთვის, როდესაც მაია ჩიბურდახიძე პარტიას ამთავრებს, იგი რკინის ბარიერს იქით გადის და გულშემატკივრების აღყაში ექცევა. გასაცვლი ავტოგრაფების „ხორმა“ დადგენილი არ არის და ზოგჯერ მაია, უბრალოდ, გეცლდება კიდეც“. ცხადია, მაია ბევრ კორესპონდენტსაც იღებდა. ისინი თავის მხრივ, აღნიშნავდნენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონი უაღრესად თავაზიანი და თავმდაბალია.

— ხონა გაფრინდაშვილთან მატჩი, ცხადია, ძნიმე იყო, ასე უპასუხა მაიამ ბელგრადის გაზეთ „პოლიტიკას“, კორესპონდენტს.

— ხომ არ ფელავთ, ასეთ გუნდს რომ ხელმძღვანელობთ?

— ცოტას ვფლავ, მხგრამ სრულიადაც არ შეშინია.

— მარტში ბელგრადში ქალთა დიდი ტურნიერი გაიმართება, ხომ არ ითამაშებთ?

— სიამოვნებით ვითამაშებ.

ნონა გაფრინდაშვილს ბუენოსაირესში ძალიან სასახარელო დღეები ჰქონდა, ოლიმპიური ოქროს მედლების კოლექციას ერთიც მიუმატა, ისტორიაში პირველად მას მიენიჭა ვაჟი დიდოსტატის წოდება. აქ ფიდემ გაითვალისწინა ამისი დიდი წარმატებები ლონ-ჰაინში (აშშ), სანდომირსა (პოლონეთი) და დორტმუნდში (გფრ) გამართულ ტურნირებში. ოლიმპიადაც კი დამთავრდა, მაგრამ ნონა ᲨᲣᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ ექს-ჩეკპიონ სმისლოვთან, დიდოსტატებთან გიპსლისსა და ვაპანიასთან ერთად არგენტინაში დარჩა. აქ ეაკეთა ორი დიდი საერთაშორისო ტურნირი იწყება. სმისლოვი და გიპსლისი ერთ შეჯიბრეაში თამაშობენ, ნონა და ვაპანიასი — მეორეში.

ადრინდელ ოლიმპიადებზე საბჭოთა ოჯახიერაკე ვაჟთა ნაკრები ერთადეთი ᲒᲣᲒᲔᲑᲘ იყო, როდესაც მთლიანად დიდოსტატებისგან შედგებოდა. ახლა ასეთივე გუდები აკეკვდათ უნგრელებს, იუგოსლავიელებსა და ამერიკის ეეოთებულ ᲔᲢᲐᲑᲔᲑᲘ, 6 ოჯახიერაკეთა ძხორკლ ერთი ოსტატი იყო გფრ-ის ᲐᲙᲐᲛᲔᲑᲘ. საქმე მაინტ კვალიფიციეთ შემადგენლობაში არ გახლდათ. ალმაყლობთ თამაშობდნენ ინგლისისა და ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ, რომლებიც ძიოიოთადაა. ახალგაზრდა ოჯახიერაკეებით იყვნენ დაკომპლექტებული.

— მე 27 წლისა ვარ, მაგრამ, ასე გასინჯეთ, ჩემი გუნდის ყველაზე ხანგაზმული მოთამაშე გახლავართ, — გაბაცხადა შვეიცის გუნდის ლიდერმა და ერთადერთმა დიდოსტატმა ანდერსოთმა. ამავე გუნდში თამაშობდა სიერთაშორისო ოსტატი კოტე კაიშაური.

37 ქულით ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მესამედ მოიპოვეს უნგრელებმა, 36 ქულით კი ვერცხლის მედლები საბჭოთა მოჭადრაკეებს დარჩათ. საგულისხმოა, რომ 1952 წლიდან მოყოლებული, საბჭოთა ნაკრები ოლიმპიადებში მხოლოდ პირველ ადგილებს იკავებდა.

დიდი გამოხმაურება პოვა ფიდეს კონგრესის მუშაობამ. მან აირჩია ახალი პრეზიდენტი პროფესორ ეიეეს ნაცვლად, რომელმაც ადარ მოინდომა არჩევნებში მონაწილეობა. მის ნაცვლად არჩეულია ოლაფსონი (ისლანდია), რომელიც მეოთხე პრეზიდენტია ჰოლანდიელ რიუბის, შვედი როგარდისა და ეიეეს შემდეგ. ახალმა პრეზიდენტმა პოტტი დაიკავა, ძველმა კი, 77 წლის ეიეემ, ზაგრების გაზეთ „ვეჩერნიკის“ მიმოხილველ ბელიაკს ერთ საინტერესო კითხვას, თუ ვინ შეიძლება შეხვდეს მსოფლიოს ჩემპიონ კარპოვს სამი წლის შემდეგ, ასე უპასუხეს:

— შეიძლება მე მთლად ობიექტური არა ვარ, მაგრამ მიმახნია, რომ მსოფლიოს ჩემპიონის მეტოქე უნდა გახდეს იან ტომანი (ჰოლანდია), იგი ბრწყინვალედ თამაშობს და შემდგომი წინსვლის ყველა შესაძლებლობა აქვს. ეფიქრობ, ტიმანი პრეტენდენტი გახდება და 1981 წელს შეხვდება კიდეც კარპოვს.

და ბოლოს, კონგრესმა მოჭადრაკეთა დიდ ჯგუფს საერთაშორისო დიდოსტატისა და საერთაშორისო ოსტატის წოდებები მიანიჭა. სხვებთან ერთად, საერთაშორისო ოსტატის წოდებები მიიღეს თბილისელებმა ელიზბარ უბილავამ და გენადი ზაინიძემ.

Გ. ᲒᲐᲛᲐᲠᲔᲯᲔᲚᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მსოფლიო ოლიმპიადის ჩემპიონები (მარცხნიდან) — მ. ჩიბურდანიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია და ე. ახმილოვსკაია.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲔᲜ ᲤᲝᲗᲔᲚᲔᲑᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ საქართველოს პირველობის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა. გათამაშებას კვლავ ეიხდებუნად ლიდერობს ფოთის „კოლხეთი“. ფოთელებმა 42 შეხვედრაში 63 ქულა დაგროვეს. ახლა მათ ორი მატჩი აქვთ გასამართავი: ყვარელში — ადგილობრივ „დურუჯთან“ და ფოთში— მახარაძის „მერცხალთან“.

მეორე ადგილზეა ტყიბულის „მეშახტე“, რომელსაც 61 ქულა აქვს. გათამაშების ცხრილში 58 ქულით მესამე სტრიქონი უკავია რუსთავის „მეტალურგს“.

მაშ ასე, ორი ტურიც და ცნობილი გახდება საქართველოს ჩემპიონის ვინობა.

ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲠᲚᲘ Ბ. ᲜᲐᲠᲐᲠᲯᲘᲜᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲨᲘ — ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲛᲐᲓᲠᲘᲚᲨᲘ დამთავრდა ევროპის პირველი ჩემპიონატი მხატვრულ ტახვარჯიშში. გათამაშებას კვლავ ეიხდებუნად ლიდერობს ფოთის „კოლხეთი“. ფოთელებმა 42 შეხვედრაში 63 ქულა დაგროვეს. ახლა მათ ორი მატჩი აქვთ გასამართავი: ყვარელში — ადგილობრივ „დურუჯთან“ და ფოთში— მახარაძის „მერცხალთან“.

მეორე ადგილზეა ტყიბულის „მეშახტე“, რომელსაც 61 ქულა აქვს. გათამაშების ცხრილში 58 ქულით მესამე სტრიქონი უკავია რუსთავის „მეტალურგს“.

მაშ ასე, ორი ტურიც და ცნობილი გახდება საქართველოს ჩემპიონის ვინობა.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲨᲘ



ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲣᲛᲨᲕᲘᲚᲔᲡᲘᲐ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ — ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ 12 ᲐᲝᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲝᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ. ᲡᲐᲛᲘ 25-ᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲐᲣᲖᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ 1 ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘ, ᲝᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ, ᲤᲠᲐᲜᲒᲑᲘᲡ ᲛᲫᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐᲨᲘ, ᲭᲘᲚᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲠᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ აქვს ოთახები თეორიული მეცადინეობისათვის, კეთილმოწყობილი გასახდელები, საშხაპეები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲖᲔ: საცურაო აუზი.

ს. ᲔᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ და Ვ. ᲔᲑᲘᲜᲝᲕᲘᲡ ფო